ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

21 ივნისი, პარასკევი, 1991 წ.
№ 115 (10528) ● ფასი 10+10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრეფექტი ერის კეთილდღეობის სამსახურში

ჰაერივით სჭირდება...

ხარაგაულის რაიონს წარსულში დიდი სპორტული ტრადიციები ჰქონდა... აქ განსაკუთრებით ჭიდაობა იყო პოპულარული... შემდგომში მდგომარეობა გაუარესდა: შესუსტდა პასუხისმგებლობა მწვრთნელთა და სპორტსმენთა მხრიდან მინდობილი საქმისადმი, ჯეროვანი ყურადღება აღარ ექცეოდა პერსპექტიული ახალგაზრდების მოზიდვასა და მათ სპორტულ დაოსტატებას...

ამჟამად დაბა ხარაგაულს სპორტული დარბაზიც კი არა აქვს, არც მარტივი ტიპის სპორტული მოედნებია აქ თავზე საყრელი... სოფლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩაშლილია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები განიცდიან სპორტულ ფორმა-ინვენტარის მწვავე დეფიციტს. ერთი სიტყვით, უამრავი პრობლემა მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას.

ჩვენი საუბარი ხარაგაულის რაიონის პრეფექტთან, ბატონ ნოდარ ებანოიძესთან სწორედ ამ მტკივნეულ საკითხებს შეეხო...

ბატონო ნოდარ, პრეფექტის ინსტიტუტს გარკვეულ იმედებს უკავშირებს ჩვენი ხალხი. გადასაჭრელია უამრავი პრობლემა, მათ შორის სოციალური, რომლის კატეგორიას განეკუთვნება ფიზკულტურა და სპორტი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ხარაგაულის რაიონია.

— ხალხის ფიზიკური გაჯანსაღების საკითხი განვითარებულ სახელმწიფოში მეორეხარისხოვანი საქმე არ გახლავთ, იგი ყოველთვის იყო და არის სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეს საქართველოს მრავალი მტკივნეული პრობლემა აწუხებს, მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური საკითხებია მოსაგვარებელი, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი სწორედ მასობრივი, აქტიური სპორტის დანერგვა გახლავთ. ჩვენ ხომ დღესდღეობით უმოძრაო, ფაქტობრივად, არაჯანსაღ ახალგაზრდობას ვზრდით. ეს სავალალო შედეგი არაერთი გარემოების ბრალია. თუნდაც ამის: 10-15 წლის მოზარდი მთელი დღე და ღამე დახუთულ ოთახში ვიდეოფილმების ცქერას ამჯობინებს სუფთა ჰაერზე ფეხბურთისა და კალათბურთის თამაშს. სპორტის რა მასობრიობაზე, ახალგაზრდობის რომელ ფიზიკურ გაჯანსაღებაზეა საუბარი? ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ კიდევ უფრო სავალალო შედეგებს მივიღებთ. არადა, დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოს ჰაერივით სჭირდება ჯანსაღი, ფიზიკურად ძლიერი მომავალი თაობა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს მათი გართობის წინააღმდეგი ვიყო, არავითარ შემთხვევაში! მაგრამ სპორტსაც ნუ დაივიწყებენ, მცირე დრო მასაც დაუთმონ, ჩვენ წინ დიდი სიძნელეები გველის და მათ დაძლევას მხოლოდ ჯანსაღი ახალგაზრდობა შეძლებს.

ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში შეიძლება უხერხულადაც კი მოგეჩვენოთ ასეთი კითხვა, და მაინც: რა ადგილი უჭირავს ფიზკულტურასა და სპორტს თქვენს საქმიანობაში? ვიცით, რომ თქვენ სპორტსმენი იყავით — თავისუფალი სტილის მოჭიდავე, თავის დროზე „ლელოშიც“ დაწერილა თქვენს წარმატებებზე....

ნოდარ ებანოიძე.

გონერი ლომიძის ფოტო.

— საქართველოს დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ, ცხადია, ვერ ვაკეთებთ ყველაფერ იმას, რაც საჭიროა, მაგრამ გვესმის, რომ ფიზკულტურასა და სპორტში მდგომარეობა რადიკალურად, ძირეულად უნდა შეიცვალოს. სულ რამდენიმე თვეა, რაც პრეფექტად დამნიშნეს. უამრავი მტკივნეული

იხ. მე-2 გვ.

გამოხმაურება

შეღავათები მხოლოდ ღირსეულებს

მართლაცდა, განა ყველასა და ყველაფრის „ერთ ქვაბში“ ჩაყრა შეიძლება? — მართალია, ბატონი მურთაზ მნათობიშვილი, როცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 14 ივნისის ნომერში აყენებს საკითხს: თუ გვსურს საქართველოს სპორტის შემდგომი წინსვლა, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებს მაინც, მათ, ვისაც ნამდვილად შესწევს დიდ საერთაშორისო ასპარეზობებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის უნარი, ყველა პირობა უნდა შევუქმნათ უმაღლესი განათლების მისაღებად.

ასე იყო მაშინ, როცა პირველად დაინერგა ეს ტრადიცია, მრავალი წლის წინ — მხოლოდ სახელოვან სპორტსმენებს აძლევდნენ ერთგვარ შეღავათებს უმაღლესში მოწყობისა თუ სწავლის პროცესში. მაგრამ მერე და მერე შეღავათები ისე გაუკუღმართდა, რომ ყველა — ნიჭიერი თუ უნიჭო, ოღონდ მფარველი ჰყოლოდა, სპეციალურ სიებში შეჰყავდათ და არა მარტო უმაღლესი სასწავლებლის კარს უღებდნენ, არამედ საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდებიდანაც ათავისუფლებდნენ, ვითომდა სპორტული შეკრებები აქვთ და წიგნებისათვის სად სცალიათო. ეს ნამდვილად დასაგმობია.

სწორედ ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა გააგრძელოს ჩვენი საქმე ყველა სფეროში, უკეთესად იღვაწოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის აღორძინებისათვის, შორს გაუთქვას სახელი ქვეყანას, ამიტომაც ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საუკეთესო სპორტსმენები საკმაოდ განათლებულნი იყვნენ, რომ იქ, უცხოეთის, დარბაზებსა თუ აუზებში ღირსეულად წარადგინონ სამშობლო.

სპორტი ერთობ შრომატევადი საქმეა. ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში რომ იმარჯვო, თითქმის ყოველდღიური ორჯერადი გულმოდგინე ვარჯიში და არჩეული სახეობის სიყვარულია საჭირო. ნამდვილი სპორტსმენი და სწავლული არც მეცნიერებისთვისაა დაკარგული და არც ქვეყნისათვის. ნიმუშად გიორგი შხვაცაბაიას, გიორგი ნიკოლაძის, ივანე მაჭავარიანის, სარგის ცაიშვილის, დიმიტრი იოსელიანის, ძმების ზურაბ და გიორგი ხანთაძეებისა და სხვათა მაგალითებიც კმარა.

ნუ გადავუკეტავთ ახალგაზრდა, ნიჭიერ სპორტსმენებს უმაღლესი სასწავლებლების კარს. ნამდვილად ღირსეულებს გავუწიოთ ერთგვარი შეღავათები!

ნუგზარ ასათიანი,
ოლიმპიური ჩემპიონი.

თანამედროვე ოლიმპიადები პირველიდან ოცდამეხუთემდე

მშვიდობის დესპანი

1952 წლამდე საერთაშორისო სპორტული მოძრაობა სრულყოფილად ვერ ასახავდა სამყაროს სპორტულ პოტენციალს, ვინაიდან, მასში არ იყო გაწევრიანებული სსრ კავშირი. ამიტომ სპორტული სამყარო გულწრფელად მიესალმა ამ ქვეყანაში ოლიმპიური კომიტეტის შექმნას, რაც მას ავტომატურად თამაშებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა. კუბერტენის იდეებისადმი სოლიდარობის მეორე აქტი გახლდათ XV ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის სურვილი, ეს „სურვილი“ სსრკ-ის ახალშექმნილმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალური განაცხადის სახით გაუგზავნა ჰელსინკის XV თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს ერიკ ფონ ფრენკელს.



ასე უსწორდებოდა დავით ციმაკურიძე (ზემოდან) „მსხვერპლს“.

XV ოლიმპიურ თამაშებს (19 ივლისი — 3 აგვისტო) სამართლიანად მიიჩნევენ თანამედროვე მსოფლიოს სპორტულ მიღწევათა ყველაზე სრულ და ობიექტურ დათვალიერებად. სხვათა შორის, ამას ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე საგანგებოდ გაუსვეს ხაზი ფინეთის პრეზიდენტმა პასიკივიმ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ედსტრიომმა: ...„ოლიმპიური დროშა გზას გვიკაფავს ახალი იმედებისკენ, მას მშვიდობისკენ მივყავართ“. ეს პოპულარული დევიზი XV ოლიმპიადამ თავის სამოქმედო პროგრამად გამოაცხადა.

ფინეთის დედაქალაქს 69 ქვეყნის ხუთი ათასამდე (4925) სპორტსმენი ესტუმრა, რომელთა შორის 518 ქალი იყო. მონაწილეთა ასეთი სიმრავლე არ ახსოვდა მანამდე ჩატარებულ არც ერთ ოლიმპიადას. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები ჰყავდათ სსრ კავშირსა (381 მონაწილე) და ამერიკის შეერთებულ შტატებს (323). ბევრმა იმ დროის კვალობაზე ჩამორჩენილმა ქვეყანამ ჰელსინკს თითო-ოროლა დელეგატი მიავლინა და ამით ხაზი გაუსვა ოლიმპიური იდეალებისადმი ერთგულებას, რაც იმხანად კეთილი მიზნების მაუწყებელი ნიშანი იყო. მაგრამ ბევრი ასეთი „მიკროდელეგაცია“ შინ საკმაოდ მდიდრული ოლიმპიური ნადავლით დაბრუნდა. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ პატარა იამაიკა, რომლის მძლეოსანთა რვაკაციანმა ჯგუფმა ორი ოქროსა და სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

XV ოლიმპიადის მთავარ სიუჟეტურ ხაზს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა სპორტსმენების ბრძოლა განსაზღვრავდა. ამ უმაგალითოდ მძაფრ და საინტერესო ბრძოლაში „დაემხო“ 66 ოლიმპიური რეკორდი (18 მსოფლიოსი იყო). ყველაზე დიდ წარმატებას, ტრადიციულად, მიაღწიეს მძლეოსნებმა (29 რეკორდი, 9 მსოფლიოსი), ძალოსნებმა (შესაბამისად 21 და 6), მოცურავეებმა (11 და 1), მსროლელებმა (4 და 2) და ველოსიპედისტებმა (1).

მაგრამ ოლიმპიური თამაშები, ცხადია, არ არის მხოლოდ კილოგრამების, წუთებისა და წამების, სანტიმეტრების შეჯიბრება. იგი, ამავე დროს, ხასიათების დაპირისპირებაც გახლავთ და ამდენად, საკმაოდ რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონებს ემორჩილება. ამბობენ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი გამოკვეთილი ინდივიდუალობა, განსხვავებული ცხოვრება არსებობსო. ჰელსინკის ოლიმპიადამ კეთილი შუამავლის როლი იკისრა მათ შორის და ფართო ასპარეზი დაუთმო ბევრ თვითმყოფ ნიჭს.

დანიელმა ლი ჰარტელმა, რომელსაც ბავშვობაში პარალიზებული ჰქონდა ფეხები, ცხენოსანთა ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა სახელოვანი შვედის ჰენრი სენ-სირის — ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის შემდეგ, ბოლო ას

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს ჩემპიონატი ხელბურთში

პირველი ეროვნული: ჩრდილ-ნათელი და... იმედი

იხ. მე-2 გვ.

ოლიმპიური კვირეული ყველგან და საქართველოში!

გეპატიჟებათ „ოლიმპო“

გვერწმუნეთ, გულნაკლული არ დარჩებით, თუ ხვალ, 11 საათზე, კულტურისა და დასვენების ბაღს „ოლიმპოს“ (დავით აღმაშენებლის, 73) ეწვევით. თქვენი მასპინძლები იქნებიან თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და სეოკ-ის თბილისის რეგიონი, რომელნიც შემოგთავაზებენ მრავალფეროვან და საინტერესო სპორტულ პროგრამას, მიძღვნილს ოლიმპიური კვირეულისადმი. შესაძლებლობა გექნებათ, იხილოთ შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში, ჭადრაკში.

უსიამოვნო ტრადიცია დაირღვა

როგორც სპორტის მოყვარულებმა იციან, ათლეტიზმი სპორტის ორი სახეობის „სინთეზია“ — ძალისმიერი სამჭიდისა და კულტურიზმისა. ჩვენმა ძალისმიერმა სამჭიდელებმა ამ ბოლო ხანს მრავალ წარმატებას მიაღწიეს, კულტურისტები კი ვერ დაიკვეხნიდნენ დიდი მიღწევებით. მაგრამ არასასიამოვნო ტრადიცია, როცა იქნება, ხომ უნდა დაირღვეს. ეს კი ჩვენმა კულტურისტებმა ახლახან გამართულ უკრაინის ღია პირველობაზე შეძლეს: საქართველოს ნაკრებმა გუნდური 1 ადგილი დაიკავა — დავით რაზმაძემ, გოჩა ქუმაშვილმა და ირინა დავითიანმა თავიანთ წონით კატეგორიებში ყველა მოწინააღმდეგე დაჯაბნეს, ირაკლი ქარსიმაშვილმა კი მხოლოდ 2 მეტოქე „[illegible]“ წინ და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

მაშ, ასე. ტრადიცია დაირღვა, ეს კი, თავისთავად, მომავალი წარმატებების საწინდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერივით საჭიროება..

(დასასრული)

საკითხი დამხვდა გადასაწყვეტი, რაღა თქმა უნდა, მათ შორის უნდა ყოფილიყო სპორტიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ფეხბურთელთა გუნდის — „ჩხერიმელას“ გარდა ჩვენს თანადგომას სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები ვერ გრძნობენ, რაც, გულახდილად ვიტყვი, ჩვენ არანაირად არ გვამართლებს...

ორიოდე სიტყვა თქვენი სპორტული წარსულის შესახებ...

— მე სახელოვანი სპორტსმენი არ ვყოფილვარ, უბრალოდ, რომ იტყვიან, ჩემს ქვას ვახარებდი. თუმცა ხელი მთლად არ მომცარვია, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონი ვიყავი თავისუფალ ჭიდაობაში მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის, მოგებული მაქვს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ საკავშირო პირველობა, ვარ სპორტის ოსტატი... სულ ეს არის, ამაზე არც ღირს საუბარი...

ხარაგაულის რაიონი მთაგორიანია, არ არის მარტივი ტიპის სპორტული ბაზების გაშენების შესაძლებლობა, მაგრამ, დამეთანხმებით, [illegible] აუცილებელია მივხედოთ მოსახლეობას, ნიჭიერთა სპორტულ დაოსტატებას...

— ჩვენი რაიონი მართლაც განიცდის სპორტული ბაზების მწვავე დეფიციტს. ეს კი, რასაკვირველია, ეტყობა მასობრივი და პროფესიული სპორტის განვითარებას.

დღეს ხარაგაულში არ არის არც ერთი ვარგისი სპორტული ნაგებობა, მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიც კი თითებზე ჩამოსათვლელია. 1989 წლის ზამთარში დიდთოვლობის შედეგად დაინგრა მშვენიერი სპორტული დარბაზი. ახალი დარბაზის აგებისთვის შესაფერისი ადგილიც გამოიყო და პროექტიც უკვე მზადაა, მაგრამ როდის ავაშენებთ? საეჭვოა, რომ უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში შევძლოთ ეს. მიუხედავად ამისა, უნდა შევძლოთ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევა, რომელთა სპორტული დაოსტატებისათვის ყველა რეზერვი უნდა ავამოქმედოთ.

ჩემი ბავშვობის წლებში დაბა ხარაგაულში იყო მხოლოდ ერთი, მომცრო საჭიდაო ოთახი, სადაც რამდენიმე ათეული ენთუზიასტი ვარჯიშობდა პირზე დოლბანდაფარებული, რადგან მტვრისაგან ვიცავდით თავს, ამ ოთახს მაშინ არც საშხაპე გააჩნდა და ჰაერის გასანიავებლად მხოლოდ ერთი სარკმელი ჰქონდა. აი, ასეთ სპორტულ დარბაზში აღიზარდნენ საკავშირო და რესპუბლიკის ჩემპიონები და პრიზიორები, დიახ, მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ჟინი და ენთუზიაზმი. ახლა? სადღაა ან ერთი, ან მეორე, ძალზე კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა რესპუბლიკა, მით უმეტეს ჩვენი რაიონი...

ბატონო ნოდარ, რა მდგომარეობაა ამჟამად ფიზკულტურის სწავლების მხრივ რაიონის სკოლებში?

— ჩვენს რაიონში არასრული საშუალო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი ოცდათერთმეტს აღწევს. აქედან მხოლოდ ათ სკოლას აქვს სპორტული დარბაზი. ამ ათიდან ექვსს სასწრაფო კაპიტალური შეკეთება სჭირდება. ბევრ სკოლაში სპორტული დარბაზის უქონლობის გამო ფიზკულტურის გაკვეთილები ნორმალურად არ ტარდება, განსაკუთრებით ზამთარში. არის სკოლები, რომელთაც სტანდარტული მოედნებიც არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ძალზე ღარიბია რაიონის სკოლათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ისინი განიცდიან სპორტული ფორმა-ინვენტარის დიდ დეფიციტსაც..

რაიონის არც ერთი სკოლა, დაწყებითიც კი, არ უნდა დარჩეს სპორტული ბაზის გარეშე, რადგან მომავალი თაობის სულიერ, ჰარმონიულ აღზრდას სწორედ სკოლებში ეყრება საფუძველი..

მიუხედავად იმისა, რომ თქვენი რაიონი პატარაა, მას დიდი სპორტული წარმატებები ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ამ ტრადიციის აღდგენა?

— მართლაც დიდი სპორტული ტრადიციები გვქონდა. განთქმული იყო ჩვენი საჭიდაო სკოლა, გვყავდა ფეხბურთელთა და კალათბურთელთა შესანიშნავი ნაკრები გუნდები, არცთუ ისე „ხელწამოსაკრავნი“ იყვნენ ჩვენი მხატვრული ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — საჭიროა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა, რეგულარულად უნდა ტარდებოდეს რაიონული პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ასევე — სოფლების პირველობა კალათბურთში, ფეხბურთში, ჭიდაობაში, აი, სწორედ აქედან მოდიან ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდები, მათ პროფესიულ დაოსტატებას კი ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი. მაღალკვალიფიციურმა მწვრთნელ-სპეციალისტებმა უფრო მეტი ენერგიით უნდა იმუშაონ, რათა არ დავკარგოთ პერსპექტიული ახალგაზრდობა.

თქვენი აზრით, რა არის ტრადიციათა მივიწყების უმთავრესი მიზეზი?

— მრავალი ფაქტორი. სახელდობრ, შესუსტდა პასუხისმგებლობა როგორც სპორტსმენთა, ასევე მწვრთნელთა მხრიდან. სოფლის თავკაცები, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. რაიონის უწინდელმა ხელმძღვანელობამაც ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე თვითდინებაზე მიუშვა. მარტო შიშველი ენთუზიაზმით საქმე წინ ვეღარ წავიდა და, ფაქტობრივად, რაიონში დღეს ჩაკვდა სპორტული ცხოვრება. იმედის ნაპერწკალს გვიტოვებს რაიონის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში გამოდის. გამოჩნდნენ ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელები. მაგრამ... განა ეს თვითდამშვიდების უფლებას გვაძლევს?

ბატონო ნოდარ, ხარაგაულში, მთელს რესპუბლიკაში პირველად, გააუქმეს კოლმეურნეობები. ბუნებრივია, ამ ფაქტთან დაკავშირებით „შემცირდნენ“ ფიზკულტურის მეთოდისტებიც — კოლმეურნეობების გამგეობათა სხვა საშტატო ერთეულებთან ერთად. თქვენ წეღან სწორად ბრძანეთ — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ ფიზკულტურასა და სპორტსო. ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს არის 80-იანი წლებიდან რაიონში სპორტული ცხოვრების უკუსვლისა... დიახ, ამჟამად სოფლებში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას თითქმის არავითარი ყურადღება აღარ ექცევა. როგორ გესახებათ ამ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის გზები?

— მაგაშიც გეთანხმებით. დღეს ჩვენი რაიონის სოფლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ფაქტობრივად ჩაშლილია... ეს იმიტომ, რომ კოლმეურნეთა თავმჯდომარეებს, რომელნიც განაგებდნენ სოფლად ფიზკულტურის მეთოდისტების ბედს, ფიზკულტურა და სპორტი მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნდათ. მათ ეს მეთოდისტები ხან ნახევარ შტატზე ჰყავდათ და ხან მეოთხედზე, არ იკითხავთ ხელფასს რას აძლევდნენ? 20-დან 30 მანეთამდე... სასაცილოა ხომ? იმასაც ამადლიდნენ, ხელფასების გადახარჯვაა და თქვენთვის ფული სადღა გვაქვს, ფერმის მწველავსა თუ მეღორეს ვერ ვაძლევთ ხელფასსო. ამიტომ ცდილობდნენ, როგორმე გაეუქმებინათ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ასეთი სამარცხვინო „ხელფასი“ ჰქონდათ. და როდესაც კოლმეურნეობათა გამგეობებში შტატების შემცირებაზე მიდგა საქმე, პირველ რიგში, ფიზკულტურის მეთოდისტები გაიმეტეს.

მას შემდეგ სოფლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ნელნელა გაუარესდა, ბოლოს კი მთლად ჩაიშალა. ამჟამად დიდ იმედებს ვამყარებთ სოფლებში არჩეულ საკრებულოებზე, მათ გამგებლებზე. სწორედ მათ ძალუძთ გამოასწორონ საქმე.. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ შიშველი ენთუზიაზმით უნდა შეეჭიდონ ამ მეტად საჭირო საქმეს. შემდგომ პერიოდში კი, როდესაც საკრებულოები ფინანსურად მოძლიერდებიან, ფიზკულტურის მეთოდისტებს კვლავ აღადგენენ „უფლებებში“ და მათი ხელფასიც ნორმალური იქნება.

სოფლის საკრებულოებში გამგებლებად სპორტსმენებიც ხომ არ არიან არჩეულნი?

— როგორ არა — ლაშეში, წყალაფორეთში, ბორითსა და კიცხში.

ბატონო ნოდარ, ფიზკულტურა და სპორტი ვერ განვითარდება სპორტული ბაზებისა და ეკონომიკური საფუძვლის გარეშე. სპორტულ ბაზებზე უკვე ითქვა, ეკონომიკურ მხარეზე კი რას იტყოდით? თქვენი აზრი მით უფრო საინტერესოა, რომ პროფესიით ეკონომისტი ბრძანდებით...

— ჩვენი რაიონის ეკონომიკა ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. ამჟამად არ შეგვიძლია დავაფინანსოთ მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობაც კი, რადგან დღესდღეობით სამისო ფინანსური წყაროები არ გაგვაჩნია, მაგრამ, იმედია, ეს მდგომარეობა უახლოეს ხანში გამოსწორდება — როგორც კი საქართველოს ექნება თავისი ეკონომიკური საზღვრები და გახდება სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაშინ ყველა პირობა შეიქმნება დაფინანსდეს ფიზკულტურა და სპორტი და მათი შემდგომი განვითარებისთვის ნორმალური პირობები გვექნება, დღესდღეობით კი ამ მხრივ საქმე ცუდადა გვაქვს, — რაიონში არსებულ ერთადერთ გუნდსაც კი ვერ ვეხმარებოდით, ისე გაგვიჭირდა, დახმარების სხვა საშუალება რომ ვერ გამოვნახეთ, გადავწყვიტეთ, მათთვის გამოგვეყო მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც მათ კომერციულ ფასში გაყიდეს და ჯერჯერობით ასე გააქვთ თავი.. თუ რაიონის რომელიმე დიდ ორგანიზაციას ან კოოპერატივს თანხები „მოუჭარბდება“, მაშინ ისინიც შეგვეშველებიან მის დაფინანსებაში. უსახსრობის გამო, ჯერჯერობით უმოქმედოდაა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების კლუბიც, რომელიც სულ ახლახან გაიხსნა. საჭიროა სპონსორები, რათა რაიონში არსებული სპორტული რეზერვები სრულად ავამოქმედოთ, თორემ ინერტულობით და ხუხინით საქმე არასდროს გაკეთებულა და არც ახლა გაკეთდება.

დაბაში ახალი დასახელების ქუჩები გამოჩნდა. მათ შორის ხარაგაულის რაიონის რომელიმე სახელოვანი სპორტსმენის სახელობის ქუჩაც ხომ არაა?

— რა თქმა უნდა. ერთ-ერთ ქუჩას ვუწოდეთ ევროპის მრავალგზის ჩემპიონისა და მსოფლიო პრიზიორის ანზორ კიკნაძის სახელი.

დაბოლოს, რას უსურვებდით „ლელოს“ მკითხველებს?

— სპორტის ქართველ გულშემატკივრებს და გაზეთ „ლელოს“ მკითხველებს ვუსურვებდი: ხშირად შეეტყოთ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების წარმატებები, თქვენ კი სიხარულით გეუწყებინოთ მათ შესახებ, ვინც დამოუკიდებელი ეროვნული სპოტის სახელი უნდა გაიტანოს საერთაშორისო სარბიელზე.

ესაუბრა ბორა ხარატიშვილი.

პირველი ეროვნული: ჩრდილ-ნათელი და... იმედი

როგორც იცით, დასრულდა ხელბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. დღეს გთავაზობთ დასკვნითი, VI ტურის მატჩებისა და ასპარეზობის საერთო მიმოხილვას.

„მართვე-I“ — „ოქროს ვერძი“ 41:28, 35:25.

ფოთელებმა ბოლო შეხვედრები წამყვანი მოთამაშეების გარეშე ჩაატარეს, ამიტომ ერთობ სუსტად გამოიყურებოდნენ. მოსწავლეთა პირველ გუნდს არ გასჭირვებია მეტოქის დამარცხება.

„მართვე-II“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი 33:30, 37:29.

ჩემპიონატის აუტსაიდერმა უკანასკნელ შეხვედრებში, როგორც იქნა, გაიმარჯვა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჭაბუკი ხელბურთელები მთელი გათამაშების მანძილზე ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ თავდაუზოგავად იბრძოდნენ. მათ ამ მატჩშიც არ უღალატეს ჩვევას. სტუდენტთა გამოცდილი გუნდი კი, შეიძლება ითქვას, უპასუხისმგებლოდ მოეკიდა დასკვნით თამაშებს. ერთი სიტყვით, მოსწავლეებმა სათანადო გაკვეთილი ჩაუტარეს გამოცდილ ოსტატებს.

ზოოვეტი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 35:40, 48:46.

ზოოვეტს პირველ შეხვედრაში „თავი არ მოუკლავს“ და „ფიზკულტურელებმა“ იოლად იმარჯვეს, მეორე მატჩში სურათი შეიცვალა, რაც შედეგშიც აისახა. აქვე დავძენთ, რომ „ფიზკულტურელები“ მეორე ტურია ...მეკარის გარეშე თამაშობენ — მათი გუნდის „მინდვრის“ მოთამაშეები რიგრიგობით დგებოდნენ კარში. ასე განსაჯეთ, ერთხელ გუნდის მწვრთნელიც კი იცავდა კარს და წარმატებითაც.

„მართვე-I“ — ვეტერანები 31:37.

ვეტერანებმა შესუსტებული შემადგენლობით შეძლეს მოსწავლეთა დამარცხება. თამაშის მსვლელობაში მოსწავლეებმა ორი ბურთითაც შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ ეს იყო და ეს. ვეტერანები ამ გამარჯვებით მეორე საპრიზო ადგილზე დამკვიდრდნენ, რაც, ვფიქრობთ, ურიგო შედეგი არ არის.

სტუ — „მამული“ 28:24, 33:39.

ამ შეხვედრებში უნდა გარკვეულიყო საპრიზო ადგილების ბედი. „ტექნიკოსებმა“ აღმავლობით ჩაატარეს პირველი მატჩი და მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს. შენგელია, ორჯონიკიძე, ბოყოჩაძე, მეიფარიანი და მეკარე უგულავა მართლაც საუკეთესოდ თამაშობდნენ, მათი მეტოქენი კი რატომღაც ვერ განეწყვნენ საბრძოლველად — ხშირად ცდებოდნენ შეტევებისას და დათმეს კიდევაც ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა. მეორე მატჩს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — იგი უფრო საპრესტიჟო გახლდათ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, შეიძლება ითქვას, ერთდროულად კარგ სპორტულ, მაგრამ ძალზე დაბალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა. მართლაც ბევრი ხარვეზი ჰქონდა ჩვენს პირველ გათამაშებას. იშვიათი როდი იყო თამაშებზე გუნდების (ქუთაისი, თელავი) და ზოგჯერ მსაჯების გამოუცხადებლობა. იყო არაერთი მაგალითი იმისა, როდესაც მოთამაშეები უხეშად არღვევდნენ დისციპლინას. ძალზე ცოტა შეხვედრა მოეწყო რაიონების ქალაქებში, რაც, ცხადია, ხელს არ უწყობს ადგილებზე ხელბურთის პოპულარიზაციას. ჩემპიონატის მიწურული... უფრო თბილისის პირველობას ჰგავდა, ვიდრე რესპუბლიკურ გათამაშებას. ასეა თუ ისე, ამ ტურნირში ნაკლთან ერთად, ბევრი სასიკეთოც ვნახეთ: შეიქმნა ხელბურთის ახალი კლუბები; ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტების გუნდებს ყოველნაირად მხარში ედგნენ ამ სასწავლებლების ხელმძღვანელები, ამასთან, „მამულს“ დიდი დახმარება აღმოუჩინა სპონსორმა — მექანიზაციის სპეცტრესტის სამმართველომ (მმართველი თემურ გვამბერიძე), რომელმაც გუნდს ლამაზი ფორმაც შეუძინა და მატერიალურადაც დაეხმარა. ვფიქრობთ, მომავალ ჩემპიონატში გაიზრდება მონაწილეთა რაოდენობა, გაიზრდება ხელბურთის გავრცელების არეალი და, ხარვეზების გათვალისწინებით, მომდევნო სეზონი უფრო წარმატებით ჩაივლის. ამ გათამაშებამ უდავოდ აამაღლა, როგორც ცალკეული გუნდების, ასევე მოთამაშეთა კლასი. შესაძლებელი გახდა საქართველოს ნაკრების უფრო მეტი კანდიდატის შერჩევა. ამ მხრივ აღსანიშნავნი არიან „მამულის“ მოთამაშენი: უშვერიძე, არსენიშვილი, მერაბიშვილი, კალანდაძე, ღლონტი, კინწურაშვილი, სტუ-ს გუნდიდან — შენგელია, მინდელი, მეიფარიანი, ბოყოჩაძე, მჟავანაძე, გაწერელია, ორივე „მართვედან“: — ნაროზაული, თეთჯოიანი, გელაშვილი, მარგებაძე; ფიზკულტურის ინსტიტუტიდან — როგავა, დემეტრაშვილი, რ. სივოპლიასოვი, შათირიშვილი; „ოქროს ვერძიდან“ — კენჭაძე, თითბერია, ხვითარია, ე. სივოპლიასოვი. ცხადია, ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

ვეტერანთა გუნდის მონაწილეობამ ტურნირს მეტი სპორტული ინტერესი შესძინა — მათი მეტოქენი ხომ თავს არ იზოგავდნენ გამოცდილ ოსტატებთან შეხვედრებში. ერთი სიტყვით, პირველმა ეროვნულმა ჩემპიონატმა თავისი მისია შეასრულა. სამწუხაროდ, გამარჯვებული გუნდების წევრებმა შესაბამისად, 50, 30, და 20 მანეთი პრემია მიიღეს, რაც, ვფიქრობ, მათ შეურაცხყოფად უფრო მიიღეს, ვიდრე წახალისებად. ამაზე, ალბათ, იფიქრებს ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია. ორიოდე სიტყვა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებზეც. ცხადია, იგი უნდა კომპლექტდებოდეს სპორტული პრინციპით, მოთამაშეთა დღევანდელი სპორტული ფორმის გათვალისწინებით და არა წარსულის დამსახურებით. აშკარაა, რომ ნაკრების ზოგიერთმა წევრმა უკანასკნელ დროს საგრძნობლად დათმო პოზიცია. დროა, საქართველოს ნაკრებს თავისი იერი, ფორმა ჰქონდეს, მით უფრო, რომ იგი საერთაშორისო მატჩებისთვის ემზადება. დასასრულს, კიდევ ერთი „დეტალი“: კარგი იქნება, საქართველოს გუნდებს შეურჩიონ ლამაზი სახელები, როგორც ეს ფოთელებმა გააკეთეს („ოქროს ვერძი“).

თამაზ საჯაია,
სპორტის ოსტატი.

გათამაშების ცხრილი

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბურთები	ქ.
1. ტექნიკური უნივერსიტეტი	18	16	0	2	564-404	48
2. ვეტერანები	18	14	0	4	509-384	42
3. აგრარული უნივერსიტეტი	18	14	0	4	571-431	42
4. „ოქროს ვერძი“	18	10	1	7	484-439	31
5. „მართვე-I“	18	9	1	8	480-443	28
6. ფიზკულტურის ინსტიტუტი	18	7	1	10	529-495	22
7. თელავი	18	6	0	12	480-528	18
8. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი	18	6	0	12	301-605	18
9. „მართვე-II“	18	4	0	14	490-578	12
10. ქუთაისი.	18	0	1	17	231-387	1

ქართული პრესა წერდა...

ფუტბოლის სტადიონზე

ამამდე ლონდონში ფუტბოლის მატჩი თამაშდებოდა კრისტალ-პალასში, რომელიც ვერ იტევდა ყველა მსურველს, რათა დასწრებოდნენ საშუალო ინგლისელებისათვის ამ სენსაციურ ამბავს. ახალი სტადიონი კი, რომელიც იქნა აშენებული ვემბელში, იტევს 150 ათას ადამიანს, მაგრამ ეს რაოდენობაც არ გამოდგა საკმარისი ენთუზიასტებისათვის. მოხდა საშინელი დაწოლა, რომლის მსხვერპლი გახდა 900 ადამიანი. ეს ამბავი ახლა სასამართლოს ეპილოგით სრულდება, რადგან გამოირკვა, რომ ახალ სტადიონზე სამსახური არ იყო საკმაოდ მოწყობილი იმისათვის, რომ სტადიონი გაეწმინდათ ხალხისაგან, საჭირო გახდა პოლიციელების მთელი რაზმები, რომლებიც ბრძოლაში რევოლვერებით იჭრებოდნენ. ლონდონის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მძიმედ დაჭრილთა შორის ძალიან ბევრი არიან ქალები და ბავშვები და რომ პანიკის დროს ძლიერები უწყალოდ იკვლევდნენ გზას ქალებისა და ბავშვების ბრბოში.

გაზეთი „ტრიბუნა“, 1923 წ. 27 მაისი (№ 489).

• • •

„ტფილისის გუბერნატორმა შესაძლებლად ცნო დაარსებული იქნას ტფილისში ხმალში ვარჯიშობის კურსები“.

„ივერია“, 1899 წ., № 258.

„**ცირკებში** ჭიდაობა კვლავაც იქნება. ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შეკითხვაზე მილიციის უფროსმა განაცხადა, რომ ცირკის პატრონები ძალიან დააშინა კომიტეტის განკარგულებამ შესახებ ჭიდაობის აკრძალვისა და ყოველივე ღონეს ხმარობენ წესრიგის დასაცავად. ამის გამო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებლად სცნო ჭიდაობა აღარ აიკრძალოს“.

„საქართველო“, 1918, წ. მაისის 19.

პრომეთე

№3
1991 წ.
ივნისი

სული გულს – მოდგინე არს, ხოლო ხორცნი უძლურ მათე 26, 41.

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის გაზეთი. „ლელოს" დეკადური დამატება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილია სხეულებრივი კულტურის გამო

ცდებიან ისინი, ვინც მხოლოდ გონების გახსნით კმაყოფილდებიან და ივიწყებენ, რომ კაცს ტანი და აგებულება აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშით უნდა გალონიერდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია.

ილია

მიჯნურთ ბადე

მიჯნურნო, ახლა გამოჰსჩნდით, რომელნიცა ხართ ქველადა,
მოედანს გადით თამაშად, ჩოგანი ცუდად ძე რადა?
შენზედ შევჰკრიბნე მნათობნი ჭურეტად, თამაშად, მზერადა,
შენის სურვილით შეჰქმნოდესთ ლაწვი ზაფრანის ფერადა.

ჯირითის სროლა გშვენოდეს, კარგად გაქნევა მკლავისა,
ცხენიდამ მღიმარ გარდაგდო, გამომეტებით ჰკრა ვისა,
ამხანაგთ ჯობნა გშვენოდეს, ზედან დათხოვნა დავისა,
ამაყად რბევა ცხენისა და მოწონება თავისა.

წერწეტს წელს კარგად უხდება გაწყობით მშვილდი, ისარი,
შენზედ ცილობდენ ყველანი, ამბობდენ: „აგერ, ის არი",
სადაც წახვიდი, მშვენებით სულ განანათლი ის არი,
შენსა ტრფიალსა დაესვას გულსა სიშორის ისარი.

შენს მშვილდოსნობას ჰკვირობენ, ქებასა გაიძახიან,
რასაც შესტყორცნი, დაეცის, ცოცხალნი ვერვინ ნახიან,
შენის ტანისა სურათი მოჯნურთ გულს დაისახიან,
შენთვის გაჭრა და ხელობა არვისგან დაიძრახიან.

ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი (XVIII საუკუნე)

ქართული პრესა სპორტის შესახებ

„საშიში და დამღუპავი შეცდომაა, თითქოს სხეულის განვითარება გონების მოქმედებას ხელს უშლიდეს, თითქოს ერთის მოქმედება არ შველოდეს მეორეს. ჩვენი სხეულის ნაწილები და ორგანოები, ეს იარაღები ჩვენი გონების, უკეთ რომ გამოვიყენოთ, საჭიროა მტკიცე, საღი სხეული, რომელიც მათ ასაზრდოებს".

„განათლება" 1912, №7

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ გაზეთ „პრომეთეს"
გამოწერა შეგიძლიათ გაზეთ
„ლელოსთან„ ერთად
„სოიუზპეჩატის" განყოფილებებში.

ქართული სპორტის მატიანე

სიცოცხლე დაფერფლილი ფეხბურთის მისადევარში

ანდრო ჟორდანია — ქართული ფეხბურთის პატრიარქად შერაცხილი, ფანატიკურად შეყვარებული თავის საქმეზე, დიდი ერუდიციისა და ტაქტის მქონე კაცი, ფეხბურთელის სულის ნათელმხილველი, პრინციპული; თანდაყოლილი პედაგოგიური ალღოთი დაჯილდოვებული, დიდად განათლებული, ნაზიარები ისტორიას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. სხვათა მომსმენი და საოცრად აზრიანად განმსჯელი მრავალგვარ საკითხთა.

აი, ამ ჭეშმარიტი კაცის მართლაცდა ბუმბერაზის პიროვნების, მახასიათებელი შტრიხები.

იგი არასოდეს ფიქრობდა სახელსა და დიდებაზე, გაურბოდა ჟურნალისტებს, ჩრდილში არჩევდა ყოფნას. თავისი დაბადების 70 წლისთავსაც თითქოსდა იმიტომ ველარ მოესწრო, რომ ერიდა მისთვის გუნდრუკის კმევასა და ზარ-ზეიმს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი და სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი — ეს ორი დიდად საპატიო წოდებაც კი ვერ გამოსახავს მის უმდიდრეს მონაგარს.

მახსოვს ერთხელ ბორის პაიჭაძეს ვესტუმრე მის სამუშაო ოთახში და ვთხოვე ბატონ ანდროზე ესაუბრა. „ფეხბურთის კარუზომ" გაიღიმა, სიგარეტი გააბოლა, ჩაფიქრდა და მერე დაიწყო:

„ფოთში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ფეხბურთი ძალზე პოპულარული იყო. მე და ჩემი თანატოლები ჩინჩის ბურთს დავდევდით ადრიან დილიდან გვიან საღამომდე. თბილისის გუნდები ხშირად ჩამოდიოდნენ ამ ზღვისპირა ქალაქში, რომელსაც შემდგომ ქართული ფეხბურთის ელდორადო შეერქვა. მოზარდებმა მაშინ ვიხილეთ პირველად ანდრო ჟორდანიას თამაში, გაოცებულნი შევცქეროდით მის მოძრაობებს, ზუსტ გადაცემებს, გვაკვირვებდა მოედნის მისმიერი ხედვა, ყველა ამ თვისების გარდა ბატონ ანდროს მომადლებოდა კიდევ ერთი რამ — იგი უძლიერესად ურტყამდა კარში. ამიტომაც იქცა იგი ჩვენს კერპად, ამიტომაც მტრედის გუნდივით კუდში დასდევდა მას ფოთის მთელი მოზარდთა თაობა. ანდრო ჟორდანია საშუალო ტანის, შავგვრემანი კაცი იყო და ბიჭებმა მას მოფერებით „ანდრო მენახშირე" შევარქვით.

ამ დიდებულ ადამიანს, ჩვენდა სავალალოდ, როდი ჰქონდა ია-ვარდით მოფენილი გზა. გავიხსენებ ერთ ასეთ ამბავს. 1944 წლის დამლევს შევიტყვეთ, რომ იგი, ომში დაჭრილი, თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა. ეს ჰოსპიტალი ახლანდელი სტუდენტთა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მაშინ თბილისის „დინამოს" კაპიტანი გახლდით. მისი თავი მოვუყარე თანაგუნდელებს და ჩვენ უსაყვარლეს ადამიანს ვეწვიეთ. საოცრად გაიხარა ბატონმა ანდრომ, სატკივარი სულ გადაავიწყდა; ღელავდა, გუნდსა და მოთამაშეებზე გვეკითხებოდა. როცა კეცზე გამომცხვარი ჭადი და ყველი და მცირედი ხილი მივართვით, თვალში ცრემლი ჩაუდგა ყველასაგან მიტოვებულ ადამიანს. მეორე დილით ფეხბურთის მესვეურთ წარვუდექით და განვუცხადეთ, რომ თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელად გვსურდა გვყოლოდა მარტოოდენ ანდრო ჟორდანია და არავინ სხვა. ჩვენი ერთსულოვანი, დაჟინებითი მოთხოვნა დააკმაყოფილეს და იგი ამ თანამდებობაზე დანიშნეს. ბატონმა ანდრომ თითქოსდა რამ ჯადოსნური კვერთხით, სასწაულებრივად მოკლე დროში ჩამოაყალიბა თბილისის „დინამო", ნაცადი მწვრთნელი ფეხბურთელებს უღვივებდა შემოქმედებით უნარს, გვასწავლიდა კოლექტივიზმს, მაგრამ ინდივიდუალურ თამაშსაც აძლევდა ფართო გასაქანს. ძალიან მალე ყოველივე ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო, რისი ცხადლივი დასტური გახლდათ გუნდის მინაღწევარი და სტადიონის ტრიბუნების გულმხურვალება ჩვენი შეწყობილი თამაშისადმი".

ბატონი ანდროს ჟურნალისტური პორტრეტის შესაქმნელად მივაკითხე სსრკ-ს, თბილისის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, მურთაზ ხურცილავასაც. აი, რა მომითხრო მან:

„60-იანი წლების მიწურულში, ანდრო ჟორდანიამ სოხუმში თავი მოუყარა განსაკუთრებით პერსპექტიულ, ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომელთა რიცხვი 30-მდე აღწევდა. ბატონმა ანდრომ ეს ჯგუფი ორად გაყო და მათ შორის შეჯიბრი გამართა. მე ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი. მატჩის მერე ანდრო ჟორდანიამ თავისთან მიმიხმო და მითხრა:

— წადი, შვილო, სახლში, ტელეგრამას მიიღებ ჩემგან, ჩამოხვალ დედაქალაქში და „დინამოში" ითამაშებ.

სიხარულისაგან კინაღამ ცაში ავიჭერი. ამ დროს მომიახლოვდა სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი დავით ცომაია და ამ სიტყვებით მომმართა: ეს მე მიმადლოდე, შენ ჩემი აღმოჩენა ხარ. ანდრეი დიმიტრის ძეს მე ვამცნე, ერთი ძალიან კარგი მცველი ვნახე-მეთქი და ახლა ვაჩვენე კიდეც შენი თავი. მას კი, როგორი თვალი აქვს, ალბათ გსმენია, აბა შენ იცი, არ შემარცხვინო".

წარსულში ცნობილმა თავდამსხმელმა ვლადიმერ ბარქაიამაც დასტურჰყო, რომ დიდ ქართველ მწვრთნელს, ანდრო ჟორდანიას მართლაც შეუმცდარი ალღო ჰქონდა და ფეხბურთელის ავ-კარგს ერთის შეხედვით გამოიცნობდა.



„ერთხელ საგანგებოდ ვეახელი ანდრო ჟორდანიას და ვუთხარი, გაგრაში ერთი მავტუხა ფეხბურთელი ვნახე, სტადიონთან ახლოს ცხოვრობს, ბურთს არ შორდება, ღირს-მეთქი მისი ნახვა. ეს ორიოდ სიტყვაც კი საკმაო აღმოჩნდა, ანდრო ჟორდანია მყის ეწვია გაგრას და ეს ფეხბურთელი თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხა.

ჟორდანია არც ამჟამად შემცდარა: 1965 წელს საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ამხანაგური მატჩის მერე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა ნაკრების კაპიტანმა ჰილდერალდო ლუის ბელინიმ ხომ სერიოზულობანარევი იუმორით თქვა გიორგი სიჭინავას შესახებ: „თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი რომ ჩვენი სპორტული ფორმით შეიმოსოს, ვერავინ განასხვავებს ბრაზილიელი ფეხბურთელისაგანო".

ანდრო ჟორდანია დიახაც მუხლჩაუხრელი მაძიებელი რომ გახლდათ ნიჭიერი ფეხბურთელებისა, ამას კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს სენაკის „ეგრისის" ყოფილი მწვრთნელის გულო ოდიშარიას მონათხრობი:

„ერთხელ ჩემი გუნდი ჩვენს რაიონში რესპუბლიკის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩს ატარებდა. ტრიბუნაზე მხოლოდ მოგვიანებით შევნიშნე ანდრო ჟორდანია, რომელიც დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს მინდორზე მოთამაშე ფეხბურთელებს, ხარბად აბოლებდა პაპიროს „ყაზბეგს" და მის კოლოფზე რაღაცას ინიშნავდა. რას წარმოვიდგენდი, თუ ფეხბურთის ელიტის ესოდენ საჩინო წარმომადგენელი იმ სიშორიდან ჩამოვიდოდა და ავრე უმნიშვნელო მატჩს დაესწრებოდა. ცოტა ხნის მერე ბატონი ანდრო მომიბრუნდა და მითხრა: შენი მარჯვენა შუამარბი ურიგო ფეხბურთელი როდია, ოღონდ ოსტატობა აკლია და თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში უნდა დაჰყოს ერთხანს, რის საშუალებასაც მე თავად მივცემო. კიდევ ბევრი რამ საგულისხმო მითხრა და მერე გაემგზავრა აფხაზეთში. ასეთი დაუცხრომელი მოგზაურობის შედეგად იპოვა მან საიმედო მეკარე რამაზ ურუშაძე, ჩინებული ბომბარდირი ილია დათუნაშვილი, შესანიშნავი სტრატეგი შეტევისა ვლადიმერ ბარქაია და ბევრი სხვა".

ანდრო ჟორდანიაზე გაუთავებლად შეიძლება საუბარი. ამ დახვეწილ ინტელიგენტს, ქართული ფეხბურთის მისადევარში დაფერფლილ ტყავის ბურთის ოსტატს, ერგო ბედი ფუნჯის ოსტატ ფიროსმანისა, იგიც ასევე დაუფასებლად გარდაეგო ამა ქვეყნიდან.

მთელ საქართველოში ძნელად თუ იპოვით საფეხბურთო სკოლას ანდა თუ გნებავთ სტადიონს, რომ ერქვას ფეხბურთის სწორუპოვარი მწვრთნელის სახელი. რატომღაც არსად გამოიძებნა ადგილი მისი მემორიალური დაფის გამოსაკრავად. მარტოდენ ლანჩხუთში, სადაც იშვა ეს ჭეშმარიტი მამულიშვილი, ტარდება ხოლმე ჟამითიჟამად მისი სახელობის ტურნირი ესაა და ეს.

ვაკის სასაფლაოზე, 18 წელიწადია, რაც განისვენებს ერისათვის თავდადებული ადამიანი, ანდრო ჟორდანია, მივიწყებული ფეხბურთის მესვეურთა მიერ, მაგრამ მის საფლავზე მუდამ ნახავთ ყვავილებს, ამ ალაგს რომ მოაქვთ ხოლმე ბატონი ანდროს უზადო ნიჭის დამფასებელთა და თაყვანისმცემელთ.

შალვა ქირია,
საქართველოს კულტურის
დამსახურებული მუშაკი

სურათებზე: ანდრო ჟორდანია (მარჯვნივ) მატჩის დაწყების წინ ესაუბრება მ.ჯოჯუას, ა.ღოღობერიძეს, ა.კოტრიკაძესა და კ.გაგნიძეს.
ი.სოკოლოვის მეგობრული შარჟი.

ACHILLES TRACK CLUB

(„აქილეს ტრექ კლუბ“-ი)

ტომ პასერო

ნიუ-იორკის მარათონელ მორბენალთა კლუბი 1983 წელს დაეფუძნა და მერმე ზრდა იყო მსოფლიო მასშტაბითაც, — სადღეისოდ იგი 1000 აქტიურ წევრს აერთიანებს. სულის ჩამდგმელი, დამფუძნებელი და პრეზიდენტი კლუბისა გახლავთ რიჩარდ ტრაუმ-ი (დიკი, როგორც მას შინაურები და ახლობლები უხმობენ ხოლმე). 1965 წელს როდესაც დიკი ავტოგასამართავ სადგურზე მანქანით ბაკში ბენზინს ასხამდა, უკანიდან ერთდროულად ორი ავტომანქანა დაეჯახა. ფეხის მოკვეთა გარდუვალი გახდა. ოდესღაც კოლეჯის ჩემპიონი მოჭიდავე სარეცელს მიეჯაჭვა. უმოძრაობამ ტანში ნამეტნავად შეასუქა, გული დაუავადა. თუმცა გამოსავალი არა ჩანდა, დიკმა მაინც მოიკრიბა, თუ რამ ენერგია შემორჩენოდა, — ჯერ იყო, ფეხზე დადგომას თავი შეაჩვია, ხოლო დასასრულ ყოვლის, სირბილიც შესძლო. 1976 წელს დიკი ის პირველი ხეიბარი ათლეტი გახლდათ, ვინაც ნიუ-იორკის მარათონი ბოლომდე გაირბინა. ტრაუმის სპორტულმა სიმამაცემ ამერიკა აალაპარაკა, — ჟურნალ-გაზეთი არ დარჩენილა, დიკის ფოტოსურათი რომ არ გამოექვეყნებინოს. ქუჩაშიც კი სცნობდა ამვლელ-ჩამვლელი. დიკი კომპიუტერული ტექნიკის ჩინებული ბიზნესმენი დადგა. მაგრამ თავი და თავი მოწადინეობა ამ კაცისა იყო, — თვისსავ მსგავს ხეიბართათვის რწმენა თავისთავისა დაებრუნებინა და აი, დღეს — „აქილეს ტრექ-კლუბ“-ის 100-ზე მეტი წევრი, ორმაგი დამბლით — პარაპლეგიით — დაავადებული, თუ უსინათლო თუ საინვალიდო ეტლზე ალმჯდარი მორბენალი სწორედ ამ კაცის შეწევნითაა, ათლეტურ კარიერას რომ აგრძელებს. რაც მთავარია, სალსალამათი სპორტსმენის კვალობაზეა გათვლილი აქ ყოველივე. „ჩვენი მიზანი ის არის, ხალხი განვამხნევოთ და მას შვება — სიამე სირბილისა განვაცდევინოთ, სხეულის შესაძლებლობანი მთელის სისავსით მოვახმარებინოთ“, — კლუბის განყოფილებები გახსნილია: დიდ ბრიტანეთსა, გერმანიასა, ავსტრიასა, ახალ ზელანდიასა და ტრინიდადში, განყოფილებები ყალიბდება: ჩინეთში, მონღოლეთში და ფიჯის კუნძულებზეც. სსრკ-საც ეგულვება განყოფილებანი: მოსკოვისა — ორი, ლენინგრადისა — ერთი; ნალიმ-ში, ციმბირის არტიკული რკალის მომიჯნავედ გაიხსნა კიდევ ერთი, — შესატყვისად იქაური ჰავისა, სათხილამურო კროს ეტანებიან ათლეტები.

განგების ძალამ კვლავ ცხოვრებისეული ხალისი მიჰკერძა ბუნებისაგან დაჩაგრულ ადამიანებს, აზრით შემოსა მათი არსებობა. თავად დიკი ტრაუმი ნიუ-იორკის მარათონის დირექტორთა საკრებულოს წევრი, 47 წლის კაცი, პირველად იყო ასპარეზობაში რომ ჩაება. მარათონელ ბობ ელვართან ერთად ჩამოაყალიბა საწვრთნელი პროგრამა. მაგრამ მსურველნი ვერა და ვერ მიიზიდა. მაშინ ბარათები გაუგზავნა ექიმებს, — ინვალიდთა შორის სპორტის პროპაგანდას სთხოვდა, ამანაც რომ არ გამოიღო შედეგი, ქუჩას მიაშურა, ხეიბრებს ჩამოუარა, თითოეულს, ვინ იცის მერამდენედ, სულ წვლილობითად განუმარტა მიზანი კლუბისა, თვისი პერსონის ავან-ჩავანიც გაანდო. მალე ყველა ინვალიდს მარათონული კლუბის სახელი პირზე ეკერა. ხოლო დღესდღეობით კლუბის 150 წევრი მაინც, ყოველ ოთხშაბათს ნიუ-ორკის ცენტრალურ პარკში იკრიბება; სულაც როდია აუცილებელი, ამერიკის მოქალაქე იყო, — მთავარი არის შესაკრებელ ალაგს გამოცხადდე და მწკრივს ჩაუდგე. აუცილებელ მოწყობილობასა და გზის საფასურზეც კლუბი იზრუნვებს. ახლა სპორტულ შედეგებს არ იტყვი: 40 წლის პატრიკ გოსკურ-მა (ამპუტირებულ მარცხენა ფეხის პატრონმა) რამდენიმე წლის წინ, პირველად იყო გასცურა გაშლილი ზღვა — 4 კმ, ველოსიპედით გადაირბინა 180 კმ; კლასიკური მარათონული მანძილი 42 კმ და 135 მ რეკორდულ დროში დალაშქრა (3 საათი და 44 წამი). ქალთა შორის მარათონული რეკორდი 5 საათი და 20 წუთი ამავე კლუბის წევრ ჰედდი როსბახ-ს წილხვდა. ხოლო ცერებრალური დამბლით პყრობილმა ლონდა დაუნმა საათსა და 45 წუთში ყავარჯნიანად განვლო იგივ მანძილი.

„უბედურება ის კი არ არის, ხეიბრები რომ ვართ, უბედურება ის არის, ფიზიკური ზიანის შედეგად სულიც რომ გიზიანდება. სირბილი სხეულს და სულსაც აწრთობს, საშუალებაა იგი შენსავ არსებობისა გასამართლებლად“, — ამას ამბობს რიჩარდ ტრაუმი და, უფლებამოსილიცაა სათქმელად ამისა, — ნიუ-იორკის 7 მარათონი ამ კაცს უკან მოუტოვებია; დაუცხრომელი პროპაგანდისტი „აქილეს ტრექ კლუბ“-ის იდეისა. „სირბილის სხვადასხვა სტილის მოშველიება გიადვილებს გადაიტანო ტკივილი და დისკომფორტი. — ამპუტირებული ფეხის პატრონი 3 საათსა და 30 წუთში მარათონულ მანძილსა ლაშქრავს — ხეიბრები უკეთეს შედეგს გვახილვებენ, ვიდრე სალსალამათი ათლეტები, ისეთნიც გვეპოვებიან, 5 საათში რომ გარბიან მარათონს. ხოლო ბოუმენმა (მუხლსქვევით წაკვეთილი ორთავე ფეხის პატრონმა) 100 კმ (62 მილი) ულტრამარათონიცა სძლია“.

წლების მანძილზე ილვაწა ნიუ-იორკის კლუბის პრეზიდენტმა, რათა მექსიკური მარათონული კლუბი დაარსებულიყო, საქმიან კაცთა და მეწარმეთა მეურვეობა გაენაღდებინა და რათა ხელმოკლე მექსიკელ ხეიბართ სამედიცინო, პროფესიონალური და ნივთიერი დახმარება არ მოჰკლებოდათ. მანვე მიიწვია ნიუ-იორკს სამი კვირით რუსი ხეიბარი ათლეტები რიგიან პროთეზთა ჩამოსარიგებლად და სირბილში გასაწვრთნელადაც — მორბენლებად გამოაწვრთნევინა კიდეც ისინი. „რუსეთში ინვალიდები თურმე თავიანთი ხელით ამზადებენ საინვალიდო ეტლებს, იქაური ქვევითა ხელოვნური კიდურები მეტწილად მე-2 მსოფლიო ომამდე ყოფილა დამზადებული და ძირითადად ალუმინისააო, ეგ კი არა, ხის ფეხსაც კარგად ჰგუებენო, — ამბობს გაოცებული პრეზიდენტი. — სსრკ-ს სპორტსმენები კი ჰყავს, მაგრამ მარათონში ამათგან არცერთი მონაწილეობსო“. მიტომაც დაურიგდა მათ ყოველგვარი აღჭურვილობა (მსოფლიო რეაბილიტაციის ფონდი გაიხარჯა საამისოდ. არც ცალკე პირებმა დაიშურეს შენაწირი). საპასუხო ვიზიტით 14 ინვალიდი ამერიკელი მოსკოვის საერთაშორისო ასპარეზობაზე წვეული იქნა. სსრკ-ში ხილულმა ამერიკელები გააოცა: ინვალიდთა მიმართ დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია — აქ ხეიბართან დაახლოებას არავინ მცდელობს, პირიქით ხეიბრის შეხვედრას გაურბის ყოველი კაცი, — უნდა გენახათ, რარიგ გახალისდნენ რუსი ინვალიდი სპორტსმენები „აქილეს კლუბ“-ის თანამხლები ინვალიდის ეტლიანი იმ ორი მამაკაცის დანახვაზე, ქუჩაში თავისუფლად რომ მიმოძრაობდნენ. სსრკ-ში ინვალიდები „ქვაზიმოდოს ეფექტით“ არიან გარემოცული. მათი გამოჩენისთანავე ქუჩის მეორე მხარეს გადადიანო გამვლელნი. ხოლო საპირისპიროდ ამისა, ყოველ ამერიკულ ქუჩაზე გადააწყდები კაცს, ვისაც ინვალიდთა დასახმარებლად არც სახსარი და არც ძალა ეშურება, — საბჭოელისთვის გაუგონარი რამაა სწორედ, — დასძენენ თავის მხრივ ნიუ-იორკის წვეული ხეიბარი რუსი ათლეტები. ინვალიდთა სწრაფვა აქაც და იქაც ერთი არის, მაგრამ სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური სტატუსი სსრკ ინვალიდისა აშშ-სას მრავალგზის ჩამოუვარდება. ჯეიმს რ.მილერ-მა რეპორტერს გაანდო: „სსრკ ხეიბრები შინ ყურყუტებენ, რადგან საზოგადო შეკრებულების ალაგას მათ არა ესაქმებათ რა“-ო.

უმთავრესი მოწადინეობა დიკ ტრაუმისა ის არის, რომ ამერიკულ ხელოვნურ ქვედაკიდურთა უპირატესობა შეაგონოს საბჭოთა ინვალიდებს, სსრკ ყოველ ქალაქში კი „აქილეს ტრექ კლუბ“-ის განყოფილება დააფუძნოს. ღონეს არ ზოგავს სპონსორთა მოსაზიდველად. ჰგზავნის წიგნაკებს, სადაც აღწერილია, თუ როგორ ყალიბდება კლუბის განყოფილება, აღიწერება სამართი ტრანსპორტი; ჰგზავნის ბლანკებს, — ინვალიდთა ურთიერთობის ინსტიტუციას აღწერს, აღწერს, თუ რაგვარად უნდა მოიზიდო ხეიბარი კაცი და გააწევრიანო. ნიუ-იორკის კლუბს ლიმიტირებული დოლარიც მოეძევება, საქმის დაწყებას რომ გაგიადვილებს. ფონდთა უმეტესობა კორპორაციათაგან მოედინება (ვაზელინის მამზადებელი კორპორაცია, მერსედეს-ბენცი, ამერიკან ექსპრეს). დაინტერესებული პირი ანდა ორგანიზაცია ტელეფონისა ან არა და კურიერის მეშვეობით უკავშირდება „აქილეს ტრექ კლუბ“-ს.

ახლა მარათონელ ინვალიდთა რამდენიმე პორტრეტიც:

სენდი დევიდსონმა, გაეროს ტექნიკურმა მრჩეველ-კონსულტანტმა (51 წლისამ). დამბლისა გამო მარცხენა ორთავე კიდურწართმეულმა კაცმა, ვისაც1983 წლის მარათონის წინ, კვირით ადრე ექიმებმა ყოველგვარი იმედი გადაუწურეს (ბოლომდე ვერ შემორჩებიო დისტანციას), ხელჯოხის ბჯენით მაინც მიაღწია ფინიშის ხაზს 10 საათსა და 15 წუთში, — ხოლო მომდევნო მარათონში უკვე ხელჯოხის მოუხმარებლადვე დრო 9 საათსა და 5 წუთამდე ჩამოიყვანა.

ანდრე ტომპსონი, იამაიკელი ემიგრანტი, ცერებრალური დაზიანებისა გამო მწყობრიდან გამოყვანილი სპორტსმენი, ფიზიკურად და სულიერადაც ერთიანად მობოშებული (უწინდელი მორბენალი, სიმაღლეზე მხტომელი, მოკრივე, სპორტულად მოსიარულე და ველომრბოლი) ფიზიოთერაპიისა და, რაც მთავარია, მწვრთნელის ჯიანა პაივის შეწევნით იყო, ამერიკის ყოვლის უპოპულარულეს ნიუ-იორკულ მარათონში საასპარეზო ეტლზე ალმჯდარი რომ მონაწილეობდა (საგანგებო დაკვეთით დამზადებული და ძვირზე ძვირად ღირებული ეს ეტლიც მწვრთნელმა გამოატანინა დასავლეთის პარალიზებულ ვეტერანთა ასოციაციიდან). ჯიანა პაივი პირველი ცამეტი მილი ფეხდაფეხ მიჰყვა მოასპარეზეს, წინასწარ მომზადებულ წყლიან ჭურჭელს აწოდებდა, ნახევარ გზაზე შეენაცვლა მას [illegible], — მარათონიც იმან დაასრულებინა ანდრე ტომპსონს. შედეგი: 4 საათი და 10 წუთი. პირველ — ჯერობაზე ეს საუცხოო შედეგიაო, — თავად აცხადებს მოასპარეზე. ბევრად ურთულეს მომავალ მარათონთა მომლოდინე ვარო, ამასაც დასძენს.

ტომ პასსერო — პროთეზისტი, ხელოვნური წვივის დიზაინერი (მარცხენა ფეხი მუხლსქვევით წაკვეთილი აქვს, 1975 წელს ავტოკატასტროფაში მოყოლილს). ხელოვნური წვივის მიმარჯვებით მარათონში საასპარეზოდ თავს წვრთნიდა. მსუბუქი და მოძრავი გამოდგა წვივის პროთეზი, ახალგამოგონილი საფენი კომპლექსიც თან მოჰყვა, კანისა და ქსოვილის შორის ხახუნს რომ ამცირებდა, მიმოძვრისას ტკივილს ვერ ჰგრძნობდი კაცი. მოსკოვის საერთაშორისო მარათონზე წვეულმა პასსერომ 1 საათსა და 12 წუთში გაიარა 10 კმ. „40 წლის კაცის ბარობაზე, ვისაც 15 წელიწადია, არ ურბენია, ეს კაიხელა მიღწევა არის“-ო, — იტყვის იგი.

აქვე მოვიტანთ 1989 წლის ნიუ-იორკელი მარათონის წინა დღეს გამართული საერთაშორისო „სახელდახელო შეჯიბრის“ მონაწილე ცალფეხა კაცის, ბრაინ კლივერ-ის შთაბეჭდილებას. „ფილტვებს გვიშანთავს ნოემბრის სუსხიანი ქარი. ქუჩის სიფართოვეზე მივრბივართ. იმთავითვე გამომჩინარდენ სხვადასხვა ეროვნების მორბენლები: ფრანგები, დანიელები (შიგადაშიგ ეროვნული სამოსელითაც), მერმე ენთუზიასტი იტალიელები, დროშათა ფრიალ-ფრიალით, სომბრეროიანი მექსიკელები, ჩინელები, იაპონელები... უკან მოვიტოვეთ მე-8 ავენიუ, ბროდვეი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, შენობა ცენტრალური სადგურისა, დასავლეთის მე-4 ქუჩა, აღმოსავლეთის მე-4 ქუჩაზე გავედით, 1 ავენიუზე შევუხვიეთ, — იქ დაგვხვდნენ მოტოციკლეტებზე გადამჯდარი გარინდული პოლიციელები; სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანები ერთად შეუკრავს მარათონს, — 1200 წარმოგზავნილი სხვადასხვა ერისა მიგელავს 1 ავენიუზე. წინახაზს ყავარჯნებიანა ვუახლოვდები. ვინმეს ფეხებში არ გავებლანდო-მეთქი, სულ ამას ვცდილობ. ვიღაცას შევუნიშნივარ კიდეც, „აქილეს ტრექ კლუბ“-ის ნიშანიც ვიღაცას ამოუცვნია — „გზა დაუცალეთ ბრაინს, „მიდი აქილეს“.

ცენტრალურ პარკთან გადავუხვიეთ. იქ დამხვდა ცოლი, გულმხურვალედ ჩამეკონა. სახელდახელო შეჯიბრი ტავერნის მწვანე რესტორანში დასრულდა, — ცხელი ყავითა და გემრიელი ნამცხვრით წავისაუზმეთ მეცა და ჩემმა ცოლმაც.“

ამონარიდი უცხოური პრესიდან.

სარედაქციო მინაწერი:

„აქილეს ტრექ კლუბის“ შესახებ ყოველივე ზემოთ თქმული გააცხადებს, დიდია კაცში დაფარული ძალმოსილება და, შესაძლებელია ზღვართა მიტანება და გადალახვაც, თუკი სოციალური გარემო და კეთილმოსურნეობა გარშემომყოფთა იქნა საამისო, სანთიანობა და ტექნიკური მაღალგავითარებულობა ამასთანავე, ე.ი. ყოველივე, რაიც ერს კულტუროსანს მუდამჟამ მოჰკითხვია. ღმერთმა ჰქნას, მშობელ საქართველოშიც ხეიბართა მიმართ მზრუნველობასა და ხეიბართა სპორტის ამგვარ განვითარებასაც ცოტაოდენი გასაქანი ეპოვებინოს.

* * *

სტენლი მეტიუზის ქანდაკება

ოთხმოც წელს მიღწეული სერ სტენლი მეტიუზი კვლავინდებურად ითვლება ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ გიგანტად. ბრიტანეთის უპირველეს ტყავის ბურთის ოსტატად, ფეხბურთის რაინდად შერაცხილი სერ სტენლი თვისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მთელი 28 წელიწადი გამოდიოდა მსოფლიოს სხვადასხვა სტადიონებზე. იგი მონაწილეობდა რვა ათეულზე მეტ საერთაშორისო შეჯიბრში, 1965 წელს კი თამაშობდა რა გუნდში „სტოუკსიტი“, იყო ერთადერთი 50 წლის ასაკის ფეხბურთელი, მოთამაშე ფეხბურთის ლიგის პირველ ქვეჯგუფში. 1987 წლის ოქტომბერში ის ეწვია თავის მშობლიურ კუთხეს, სტეფორდშირის საგრაფოს ქალაქ სტოუკს, რათა უშტი და უშქარი ხალხის თვალწინ გაეხსნა მოქანდაკე კოლინ მელბორნომის მიერ შექმნილი ბრინჯაოს ძეგლი, რომელიც გამოსახავდა ფეხბურთელის ფორმით მოსილ სერ სტენლი მეტიუზს. დიდი ფორვარდი თხემით ტერფამდე შესძრა ძეგლზე ამოტვიფრულმა წარწერამ, რომლითაც მადლიერმა ფეხბურთის მოყვარულებმა გაუმჟღავნეს გულის ნადები:

„სახელი მისი სიმბოლოა ფეხბურთის მშვენიერებისა. კაცსა მას იცნობს მთელი მსოფლიო, ხოლო დიდება ტყავის ბურთის ამ დიდოსტატისა როდი მორჩილებს ჟამთაცვალებას. წესიერობამ და მორიდავლობამ აღირსა კიდეც აღიარება საყოველთაო“.

საწოლსმიჯაჭვულთა ნახტომები

ცნობილი ამერიკელი ბალეტმაისტერი, მერს კენინგჰემი, ვისაც ქორეოგრაფიის სფეროში ახალი გზა-ბილიკების გაკვალვისათვის პარიზში მიენიჭა „ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის კომანდორის“ საპატიო წოდება, მისდევს თავისი მასწავლებლის, მარტა ვრეჰემის კვალს, ვისაც 80 წლის ასაკიც კი არ უშლიდა ხელს სცენაზე გამოსვლაში. მსგავსად თავისი მოძღვრისა, 70 წელს მიღწეული მერს კენინგჰემი კვლავ დაუცხრომელია და კვლავ ცეკვავს.

მის რეპერტუარში არის სპორტის თემაზე შექმნილი როლებიც. მაგალითად აკრობატის პარტია ბალეტში „ცირკი — კაცთა სულთსამყოფლო“.

თავის მიერ შექმნილ ბალეტში „გალოპიადა“ მან ჩართო ეპიზოდი „ჭადრაკის თამაში“. მაესტრომ ცეკვის ენაზე აამეტყველა ეს არამოძრავი თამაშიც კი. ამ ეპიზოდის მოქმედი პირნი კომიკური ჟესტებით გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას პარტიის მსვლელობით.

მერს კენინგჰემმა საინვალიდო სპორტსაც მიუზღო ჯეროვანი ხარკი. ერთ-ერთ თავის ბალეტში მან ჩართო ეპიზოდი „საწოლს მიჯაჭვულთა ნახტომები“. კენინგჰემმა თავად გადაიტანა მუხლის ოპერაცია, [illegible] შეექმნა ამ თემაზე საბალეტო სცენა. მაესტრომ სტილიზაცია ჰყო საწოლში მდებარე იმ ადამიანის მოძრაობანი, რომელსაც სურს წამოდგომა. მოცეკვავენი ზეწამოიწევენ, მერმე ეცემიან, მერმე და მერმე უმეტეს მაღლა აიზიდებიან იატაკიდან. ასე იხატება პროცესი ადამიანის მიერ დაკარგულ ძალთა თანდათანობით აღდგინებისა.

ეროვნული მოძრაობა და ქალოვნობა

ძმები კეკელიები

მიხეილ კეკელია

ბიქტორ კეკელია

ქართული ეროვნული მოძრაობა მოითხოვდა კაცის დიდ სულიერსა და ფიზიკურ ენერგიას, ძალუმ ფსიქიკურ მუხტსა თუ სხეულებრივ ჯანსა და ღონეს. ამიტომაც მის წიაღში მიმოძრაობდნენ მხოლოდ ასეთი თვისებებით შემკული ადამიანები.

ძმები — მიხეილ და ბიქტორ კეკელიები (სამეგრელოს სოფელ ბანძის მკვიდრნი) ყმაწვილკაცობიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში დგანან. ისინი მონაწილეობენ საქართველოს მტრების აღმოსაფხვრელ-აღმოსაკვეთად მოწყობილ ტერორისტულ აქტებში, ებრძვიან ბოლშევიკებს ფედერალისტთა მცირერიცხოვან, მაგრამ მამაც რაზმთან ერთად, ისინი არიან შემოსეული წითელი ჯარის ღირსეულად დამხვდურთა მეწინავე კოჰორტაში. 1921 წლიდან გადიან ტყეში და მოსვენებას არ აძლევენ ქართველთა თავისუფლების მტერსა და დუშმანს.

დიდ ძალასა და ღონეს საჭიროებს ასეთი საქმენი, მაგრამ თხემით ტერფამდე პატრიოტ, ათლეტური აღნაგობის ძმებს, მიხეილ და ბიქტორ კეკელიებს მოსავთ ამის შეძლება.

მიხეილ კეკელია, როგორც ნაცადი მეომარი და დიდად განათლებული პიროვნება (მას დამთავრებული ჰქონდა კიევის უნივერსიტეტი და ამასთან თავისუფლად საუბრობდა რუსულად და ფრანგულადაც) მეთაურობს ტყეში გაჭრილ მეამბოხეთა ჯგუფს.

მიხას მამა, დარბაისელი ქართველი კაცი, იმ არე-მიდამოში ცნობილი კოსტა, ხშირად ურჩევდა თავის უფროს ძეს, გაერიდეთ მაგ სახიფათო ამბებს, მაგრამ პასუხი შვილის მუდამ ერთი და იგივე იყო: შენ არ იცი, მამავ ბატონო, რა ყოვლად ულირსი ხალხი ილტვის ხელისუფლების სათავისაკენ და რა ყოვლად უმგვანო კანონებს აწესებენო.

მიხეილს ჩეკისტები შეიპყრობენ სენაკში და სატუსაღოში დაამწყვდევენ, მაგრამ ძალოვანი და მარჯვე ვაჟკაცი მაინც გაექცევათ.

1924 წლის სრულიად საქართველოს აჯანყებას, რაღა თქმა უნდა, მთელი არსებით უერთდებიან ძმები კეკელიებიც. გვიან ღამით ისინი საკუთარ ოჯახსაც მოაკითხავენ მცირე ხნით მაინც სულის ამოსათქმელად.

აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო საშინელი რეპრესიები. არაერთი მამულიშვილის მძიმე ბედი გაიზიარეს ძმებმა კეკელიებმაც.

ისინი აპირებენ რა თურქეთის საზღვარზე გადასვლას, დაიძვრებიან სამეგრელოდან. გზაში უმცროს ძმას, ბიქტორს ისე ატკივდება კუჭი, რომ მიხეილი ჯერ ზურგით ზიდავს, მერე კი სენაკის მაზრის სოფელ უშაფათში შეჩერდება და ღამის გასათევს ითხოვს. მასპინძელი ძმებს გვიანობისას თავზე დააყენებს შინსახკომელებს.

მათ სხვა მეამბოხეებთან, ფალავებთან, გაბუნიებთან, ჯანჯღავებთან და შენგელიებთან ერთად ნოქა-ლაქევში ორი დღე დაამწყვდევენ ბზარულავას მიტოვებულ სახლში, შუაღამეს კი გაიყვანენ ტეხურის პირას და დახვრეტენ.

ბიქტორის უკანასკნელი თხოვნა იყო ჯერ მე მომკალით, ნუ მაცქერინებთო ჩემი ძმის დახვრეტას. ამის გამგონე სადისტმა ჩეკისკებმა პირველად მიხეილი დახვრიტეს და მერე სხვებიც მიაყოლეს. პატიმრებს ხვრეტდნენ ჯერ არ სმენილი და არგაგონილი წესისამებრ — ხელებდაბორკილთ. არას დაგიდევდნენ მკვდარი იყვნენ ისინი თუ დაჭრილნი. ამიტომაც როცა ტყვიით დაკოდილნი სახელდახელოდ გათხრილ საფლავში ჩაყარეს, ერთხანს მიწა იწეოდა თურმე ზემოთ.

პირსისხლიანი საშა გეგეჭკორის მიერ გაცემულ საერთო ბრძანებას აჯანყების მონაწილეთა დახვრეტის შესახებ, ამ კერძო შემთხვევაში ხელს აწერდნენ ადგილობრივი რაიკომის მდივანი მონიავა და მილიციის უფროსი მამარდაშვილი.

კეკელიების ოჯახიდან (როგორც კი მათ შეიტყვეს მიხას და ბიქტორის ასე ულვთოდ დახოცვის ამბავი) ამ ავბედით ადგილისაკენ მყის გაეშურნენ მიხას დედა მაშიკო და მეუღლე ატატო. მათ წაიყვანეს ხარ-ურემი, წაიყოლიეს ხუთი გაბედული ახალგაზრდა კაცი, ამოთხარეს დახვრეტილები, ტეხურაზე გადმოვიდნენ და შინისაკენ გამოეშურნენ, მაგრამ მდევარი აბაშასთან წამოეწიათ. ყველანი კონდახებით სცემეს და გვამები დაატოვებინეს.

მაშიკომ და ატატომ მეორედაც გათხარეს საფლავი. ურემი, არავის რომ სცემოდა თვალში, მდინარის პირას დატოვეს [illegible]ა ზურგზე მოიდვეს მიხას და ბიქტორის ცხედრები, მაგრამ ამჯერადაც ვერ შესძლეს განზრახვის განხორციელება. ჩეკას როდი ეძინა. ეს გმირი ქალები შინასახკომელებმა კვლავ დაალილავეს მუშტებითა და თოფის კონდახებით.

ამ უტეხმა ადამიანებმა მესამედაც სცადეს ბედი. ამჯერად მაშიკომ მხოლოდ თავისი ხელით მოქსოვილი წინდებითღა იცნო შვილები. ისევ მოიდეს გვამები ზურგზე და სახლთან ახლოს მოატანეს, მაგრამ წამოეწივნენ მილიციელნი და უმოწყალოდ სცემეს.

მაშიკოსა და ატატოს დევნით გართულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა თვალი ველარ მიადევნეს რეპრესირებულთა დანარჩენ ჭირისუფლებს. ამგვარად ეღირსათ ქრისტიანული საფლავი მიხასა და ბიქტორთან ერთად დახვრეტილ ჯანჯღავას და შენგელიას, რომელთა გვამები სასწრაფოდ მოიპარეს მათმა ახლობლებმა.

მიხას ადრე ძველი ადათისამებრ მოეჭრა ფრჩხილი და თმა და დედისათვის გადაეცა, — ასე უთქვამს მე ისეთ საქმეზე ვარ ჩართული, რა ბედი მეწვევა, არ ვიცი და შეინახე ეს ჩემს სახსოვრადო. მხოლოდ ეს შერჩა მაშიკოს შვილის მოსაგონარად.

მიხეილისა და ბიქტორის ჩოხა-ახალუხი, თუ ვერცხლით მოსავადებული ხანჯლები მათი დაპატიმრებისას მიითვისეს მილიციელებმა. სხვა ნივთები, წიგნები და ნაწერები კი ცეცხლს მისცეს.

ძმებმა კეკელიებმა, ამ სულითა და სხეულით ძლიერმა ადამიანებმა, ველარ მიხედეს თავიანთ ხუთ შვილს. მიხას 3 პატარა ბავშვი დარჩა, ბიქტორს — 2. მაგრამ ერთი მათგანის, ქ-ნ ჟოფენას თქმით, მათ მუდამ უნათებდა ცხოვრების გზას მოწამებრივი სიკვდილით დაღუპულ მამათა ნათელი ხსოვნა და მათი ხატება არასგზით გადააცდენდა მართალი საქმის მსახურების კეთილშობილური გეზიდან.

ედიშერ გიორგაძე,
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების თავმჯდომარე

ჩვენი ინტერვიუ

ინვალიდი სპორტსმენი ქალი

წარსულში ცნობილ სპორტსმენს, ლიანა გოგიტიძეს, სპორტის ოსტატს, უკრაინისა და სსრ კავშირის ფრენბურთის ნაკრების წევრს, უბედური შემთხვევის გამო დაუზიანდა ხერხემალი. იგი ორ წელიწადს მიჯაჭვული იყო საინვალიდო ეტლს. მაგრამ მკურნალობის, ვარჯიშისა და დიდი სულიერი ძალისხმევის შედეგად მან ნაწილობრივ აღიდგინა ჯანმრთელობა, დაუბრუნდა სპორტს და 1990 წელს საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში, გასული წლის სსრ კავშირისა (ლენინგრადი) და მსოფლიოს ჩემპიონატში (მოსკოვი) მარათონულ რბენაში, გამარჯვებისათვის დასახელებულ იქნა საქართველოს საუკეთესო ინვალიდ სპორტსმენად.

ჩვენი კორესპონდენტი, **ალექსანდრე მამალაძე** ესაუბრა ამ შესანიშნავ სპორტსმენ ქალს და ძალზე საინტერესო პიროვნებას.

— ქ-ნო ლიანა, როგორ შესძელით საინვალიდო ეტლიდან მარათონელთა სტარტზე დადგომა?

— სპორტი ბავშვობიდანვე მიყვარდა. ტრამვა ჩემთვის დიდ ტრაგედიად იქცა. მითუმეტეს, რომ მომიწევდა სპორტთან სამუდამო განშორება. დეპრესიამ მომიცვა, ლამის ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე, მაგრამ ექიმებისა და ახლობლების მხარდაჭერით, მიუხედავად მძიმე ტკივილებისა, შევძელი ვარჯიშის დაწყება. ხანგრძლივი და მომქანცველი გამოდგა სნეულებასთან ბრძოლა. 1989 წლის 16 ივნის კი გამუდმებულმა მკურნალობამ და წვრთნამ შედეგი გამოიღო და მოხდა სასწაული — გავიარე. 1990 წელს შევიტყვე, რომ დიკ ტრაუმი მოსკოვში ატარებდა საერთაშორისო შეჯიბრებას მარათონულ რბენაში და გა[illegible] უცვლელად მიმეღო მონაწილეობა ამ ძალზე საპასუხისმგებლო შეჯიბრში. ხუმრობით მარწმუნებდნენ ნახევარი დისტანციის გავლასაც კი ვერ შესძლებო, მაგრამ ჩემი არ დავიშალე და, ასე გასინჯეთ, ჩემპიონიც კი გავხდი. ამავე ხანებში ჩემს ცხოვრებაში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — გავიცანი საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ძნელაძე და გავხდი მისი მეუღლე. რომ არა ტრამვა, ალბათ ერთმანეთს ვერ გავიცნობდით. ასე რომ, ზოგი ჭირი მარგებელია.

— რა მოგანიჭათ საინვალიდო სპორტმა?

— ჯანმრთელობა და სულიერი სიმხნევე, ყოველივე ის, რაც იწოდება სხეულებრივ, თუ სულიერ რეაბილიტაციად.

— რა სხვაობაა ჯანმრთელთა და ხეიბართა სპორტულ ცხოვრებას შორის?

— ჯანმრთელთათვის სპორტი მხოლოდ და მხოლოდ სპორტულ გამარჯვებათა საშუალებაა, ხეიბართათვის იგი ნორმალურად არსებობის ერთი უმთავრესი წყაროა, რამეთუ მედიცინა ბევრის მხრივ სრულიად უძლურია.

— თქვენ ეტლს რა ბედი ეწია?

— ჯერ ვიფიქრე, დავამტვრევ-მეთქი მაგ ეტლს, მაგრამ იგი ერთ ინვალიდ გოგონას დასჭირდა და მას გადავეცი. ვიმედოვნებ, ისიც მალე განთავისუფლდება მისგან.

— ვინ არის თქვენთვის გამორჩეული სპორტსმენი?

— გამოჩენილი მოჭადრაკე ქალი მაია ჩიბურდანიძე.

— რა სამომავლო სპორტული თუ პირადული გეგმები გაქვთ დასახული?

— მსურს მოქმედ სპორტსმენად დავრჩე, რაც შეიძლება მეტ ხანს და აგრეთვე მინდა დავიმშვენო ქალისათვის უმაღლესი პატივი — დედობა.

— როგორია თქვენი გუნება-განწყობილება?

— ზეაწეული, მხნე და იმედიანი.

ინფორმაცია-91

ინვალიდები ასპარეზობენ ტალინში

საქართველოს ინვალიდთა სპორტის ფედერაციის დელეგაცია ტალინში პირველ ძნელ ნაბიჯებს დგამდა საერთაშორისო სარბიელზე. დაგვეთანხმებით, როცა ასეთი ძლიერი მოწინააღმდეგეები გყავს, როგორც ლენინგრადის, კიევის, ტალინის, ნარვიის, ტარტუს, ფინეთის, მინსკის, ვილნიუსის, რიგის და სხვა გამოცდილი გუნდებია, დებიუტანტებისაგან დიდ წარმატებას არც უნდა ელოდე. ტალინის რბოლა ძველ ქალაქში (4,7 კმ დისტანციაზე), მეორე დღის შეჯიბრებანი: ნახევარმარათონში (21 კმ სპორტული სტილით) და, 10 კმ საშინაო ეტლებით. — აი, სწორედ ეს შეჯიბრებანი დაარწმუნებდნენ ჩემნაირ სკეპტიკოსებს ინვალიდთა სპორტის სერიოზულობაში.

საქართველოს ნაკრები ასპარეზობდა მხოლოდ საშინაო ეტლებით. სპორტულ და საშინაო ეტლებს შორის დაახლოებით ისეთი განსხვავებაა, როგორც ჩვეულებრივ და სარბოლო ველოსიპედებს შორის. სპორტული ეტლები ჩვენს ფედერაციას საერთოდ არ გააჩნია; უნდა გენახათ, როგორ უმზერდნენ ჩვენი ბიჭები ნახევარმარათონში მოასპარეზე მეტოქეებს. შეუვალი კონკურენტები იყვნენ: ლენინგრადელი სერგეი ოკულოვი, ორივე დისტანციაზე გამარჯვებული. მრავალი ჩემპიონატის მონაწილე და პრიზიორი ფინელი ვეიტო კორხონენი, ვინაც მარტოოდენ მეოთხე ადგილი დაიკავა.

ქართველ სპორტსმენთაგან ქალთა შორის ძველი ტალინის რბოლაში გაიმარჯვა ლია გოგიტიძემ, კაცთა შორის ცხრილის შუა ადგილები დაიკავეს გურამ მიქაბერიძემ, გიორგი მამაცაშვილმა, სოლომონ ჯამალაშვილმა, გიორგი კოხრეიძემ, ზვიად შაკაშვილმა. ეს იყო მათი პირველი მონაწილეობა ესოდენ დიდმნიშვნელოვან შეჯიბრში და თავიც არ შეურცხვენიათ.

ახლა, როცა საქართველოს სპორტული სამყარო გარკვეულად იზოლირებულია, სწორედ სპორტსმენ-ინვალიდებს, საერთაშორისო შეჯიბრებებზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშით მდგართ, ძალუძთ საერთაშორისო სარბიელზე ასახელონ დედა საქართველო, — ჩვენი ერთიანი ძალისხმევაც აქეთკენ უნდა წარიმართოს.

ზურაბ ტაბატაძე

ფენომენური ხმა

სიმღერა, როგორც ჩვენ ვწერდით „პრომეთე“ №I-ში, გარკვეულწილად წილნაყარია სპორტთან. დიდი და ლამაზი ხმაც ისეთივე ჯილდოა, ბუნების მიერ კაცისათვის ბოძებული, როგორც ძლიერი კუნთი და მოქნილი მყესი. ამასთან სიმღერაც ისევე საჭიროებს ვარჯიშს, როგორც სპორტის ნებისმიერი სახეობა. ამიტომაც ჩვენ გაზეთში მუდამ დავუთმობთ ადგილს ვოკალურ ხელოვნებას. ამ რუბრიკას წარუძღვება **საქართველოს სახალხო არტისტი ნოდარ ანდღულაძე.**

გამოჩენილი რეჟისორი, კონსტანტინე სტანისლავსკი მოგვითხრობს:

„ფრანჩესკო ტამანიოს, ხმის უუვრცესი დიაპაზონით ცნობილ დრამატიულ ტენორს, მთელი მოსკოვის მელომანთა საზოგადოება დიდის ცნობისწადილით ელოდა.

ტამანიომ პირველად იმღერა სავა მამონტოვის კერძო საოპერო თეატრში. სცენაზე გამოვიდა ოტელოს კოსტუმით მორთული ეს ორფად ნაქსოვი ვაჟკაცი და მსმენელი მყის გააოგნა მეხთამტეხი ნოტით. ხალხი ინსტიქტურად უკან გადაქანდა, თითქოსდა მოსალოდნელი კონტუზიისაგან თავის დასაცავად. ტამანიომ პირველს მოაყოლა მეორე — უმეტეს ძლიერი, მესამე — უფრორე ძალუმი ბგერები, ბოლოს კი მისი ყელიდან, თითქოსდა ვულკანის კრატერიდან ამოფრინდა რამ უუვრცესი და უუდიდესი ნოტი. დამსწრენი მცირე ხანს გარინდებული იჯდნენ, მერე კი ხალხი წამოიშალა ადგილებიდან. სადღა იყო უცნობ-ნაცნობის გარჩევა, ყველა ერთმანეთს მიმართავდა ხმამაღლივ — მოისმინეთ? — სასწაულია! — საოცრებაა!

ამ შეძახილებით პუბლიკა დაიძრა სცენისაკენ და დარბაზი შესძრა გამაყრუებელმა — ბის! ბის! ბის!

მეორედ ტამანიომ იმღერა დიდ თეატრში (სპექტაკლში „ოტელო“), რომლის სეზონის გახსნა დაემთხვა მეფის კორონაციის დღეს. ამიტომაც წარმოდგენის დაწყების წინ შესრულდა ჰიმნი. ავანსცენაზე გამწკრივებული სოლისტები ხმამაღლა მღეროდნენ გუნდის თანხლებით. მათ სიმღერას თანსდევდა ორკესტრის ასევე ძლიერი სადღესასწაულო ხმიანობა. უეცრივ სცენის სიღრმიდან გამოფრინდა ერთი მჟღერზე მჟღერი ბგერა, რომელმაც გადაფარა სოლისტების, გუნდის და ორკესტრის ხმაც. მას მოჰყვა მეორე, მესამე — ერთიმეორეზე ვრცელი და ძლიერი. აღარაფერი ისმოდა ამ ბგერათა გარდა და არც სურდა კაცს, რომ სხვა რამ სმენოდა. ამ ბგერათა გამომცემი გახლდათ სოლისტებისა და გუნდის უკან მდგარი, ფენომენური ხმის მქონი, ფრანჩესკო ტამანიო, ვინც თვით დიდმა ჯუზეპე ვერდიმ შეარჩია და გაწვრთნა კიდეც ოტელოს როლის შესასრულებლად“.

სამონადირეო სპორტი

გასკონური მწევარი



ეს არის ფრანგული ჯიში, რომელმაც სათავე დაიდო ამ ქვეყნის სამხრეთ კუთხეში. იგია ძალზე ძველი რასა, რომელსაც იხსენიებენ შუა საუკუნეთა ჟამინდელი ავტორები, გასტონ დე ფუა თუ სხვანი. გასკონური მწევარი გრაფ დე შაბოს და ლა ბლანშერის აღწერილობით ძალზე ავია, ამავე დროს საკმაოდ ზანტიც და ნაკლებ საზრიანიც. მისი თავი მოზრდილია და მოგრძო, მკერდი — განიერი, მხრები — მომრგვალებული და მძიმე, ფეხები სწორი. მგელს წააგავს სირბილში და მისი ფერიც მგლისებრ კვალს სტოვებს. მეფე ჰენრი IV აკი სწორედ ამ ძაღლებით ნადირობდა მგლებზე. გასკონური მწევარი შერეული ჯიშია. ამ ძაღლმა, რომელსაც შორს მიმწვდენი დაბალი ხმით უეფს და რომელსაც თანდაყოლილია ფართო ყნოსვა, ახლა დაკარგა ძველი თვისება — მგლის მადევრისა, ოღონდაც იგი მაინც დაჰყავთ სხვა ცხოველებზე სანადიროდ.

ბურთი რომაელთა ცხოვრებაში

ბურთის თამაშს რომაელთა ცხოვრებაში იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რაზეც რომაელი მწერლები არაერთხელ მოგვითხრობენ. ციცერონი თავის ცნობილ ნაშრომში „ორატორების შესახებ“ წერს რომაელ იურისტ პუბლიუს მუციუს სცევოლაზე, იგი არა მარტო სხვადასხვა სამაგიდო თამაშში ყოფილა დახელოვნებული, არამედ ბურ-თით ასპარეზობაშიც არავის დაუდებდა ტოლს. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე კატონ ცენზორი არჩევნებში ნაწვნევი მარცხის დავიწყებას ბურთის თამაშით ცდილობდა. გაიუს იულიუს კეისარს ერთი სანაქებო ჩვევა მოსდგამდა: დაესაჩუქრებინა ბურთაობის თანამონაწილენი. თვით შორეული მოგზაურობის ჟამსაც ბურთი არ ავიწყდებოდა. იმპერატორ ავგუსტუსის მარჯვენა ხელი, ცნობილი ქველმოქმედი რომაელი, გვარად მეცენატი, ბრუნდიზიუმს ელჩად წარგზავნილი, არც იქ შეშვებია ბურთის თამაშს. რაც შეეხება მის ჩვეულ ცხოვრებას რომში, მეცენატი, მოუცლელობის მიუხედავად, პოულობდა დროს და მარსის ველზე თამაშობდა ბურთს.

მაინც ბურთის რომელ თამაშთ ირჩევდნენ სახელდობრ რომაელები? ზოგიერთ ამგვარ თამაშზე ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, ზოგის წესები კი არცთუ მთლად გარკვეულია.

ნაკრტენით დატენილი პატარა ბურთით (მას ლათინურად „პილა პაგანიკა“ ერქვა) თამაშობდნენ ე.წ. „ტრიგონს“. სამი მონაწილე სამკუთხედის მსგავსად გაეწყობოდა. ბურთი ორივე ხელით უნდა ესროლათ ერთმანეთისათვის, ამასთან შეეძლოთ მარცხნივ მიეწოდებინათ და მარჯვნივ. ცნობილი პოეტი მარციალი თავის ეპიგრამებში წერს, განსაკუთრებით დაფასებულიაო მოთამაშე, ვინაც ოსტატურად იხმარდა მარცხენა ხელს. მოთამაშეს ბურთი კი არ უნდა დაეჭირა, არამედ ერთი, ან მეორე მიმართულებით გადაესროლა. ბურთის აგრე ხშირ-ხშირი მარჯვნივ თუ მარცხნივ ტყორცნა ნამეტნავად მოქნილობასა და სანთარიობას მოითხოვდა. მონაწილენი ზოგჯერ ჩაცმულნი თამაშობდნენ (სწორედ ამგვარად აღგვიწერა ტრიმალქიონი პეტრონიუსმა ცნობილ ნაწარმოებში „სატირიკონი“), უფრო ხშირად კი — ტანშიშველნი. პლინიუს უმცროსის ცნობით, ასე თამაშობდა სპურინა თავისი ხანდაზმულობისა და სენატორული წოდების მიუხედავად, იგი, „ტრიგონის“ ერთ-ერთი მონაწილე, ვინაც ცხადია, ოსტატობით დანარჩენებს აღემატებოდა, ორის წინააღმდეგ გამოდიოდა. უხდებოდა როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან, გაუთავებელ დარტყმათა მოგერიება. თამაშს ფხიზლად ადევნებდა თვალს ორი მონა. თუ ბურთი მიწაზე დაეშვებოდა, იგი ერთ-ერთ მხარეს მომგებიან ქულას შესძენდა. მონები დასწვდებოდნენ ბურთს და მოთამაშეებს მიურბენინებდნენ. „ტრიგონს“ სპეციალურ მოედანზე, ხოლო ზოგჯერ აუზშიაც თამაშობდნენ.

„ტრიგონი“ ანდა „სამთა თამაში“, ეტყობა, წინ უსწრებდა დიდად განქვეყნებულ „ჰარპასტუმს“. „ჰარპასტუმში“ ორი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. თამაშობდნენ ხაზით შუაზე გაყოფილ დიდ მინდორზე. თამაშს იწყებდა ის გუნდი, რომელსაც წილისყრით საამისო უფლება მიეცემოდა. პარტნიორებს ერთმანეთისათვის ხელით ან ფეხით უნდა გადაეწოდებინათ ბურთი და ცდილიყვნენ საგანგებოდ მონიშნულ ადგილს მიახლოვებოდნენ. ასეთი ადგილი ორი იყო — მინდვრის საწინააღმდეგო მხარეს; ვინც ბურთს ამ ადგილს გაატარებდა (თანამედროვე ფეხბურთის კარის მსგავსად), მას ქულა მიეკუთვნებოდა. თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს თამაში, არ არის ცნობილი. ის კი ვიცით, რომ რომაელებს იგი ძალიან უყვარდათ, მეტადრე ხშირად თამაშობდნენ ჯარისკაცები. ცნობილი მწერალი ათენეუსი მას ძლიერ აქებს. ზოგი მკვლევარი „ჰარპასტუმს“ ბერძნულ „ეპისკიროსს“ ადარებს და ფიქრობს, რომაელებმა იგი ბერძნებისაგან შეითვისესო. არის სხვა მოსაზრებაც: — ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ბურთის თამაში ცნობილი იყო შორეულ ჩინეთში. ჩინელებისაგან იგი შესაძლოა სპარსელებს შეეთვისებინოთ. ძვ.წ. VI საუკუნიდან მოყოლებული, ბერძნებს სპარსულ სამყაროსთან მიმოსვლა ჰქონდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, VI-IV საუკუნეებში სპარსეთის ჯარში არაერთი ბერძენი მოქირავნე მსახურობდა. მათ თამამად შეეძლოთ გასცნობოდნენ ამ აღმოსავლური წარმოშობის თამაშს. ზოგი ისტორიკოსი „ჰარპასტუმს“ ფეხბურთის წინამორბედად თვლის, თუმცა იგი თამაშის წესებით უფრო რეგბის ჰგავს.

„ჰარპასტუმის“ ოსტატურად მოთამაშეს მთელს რომში სახელი განეთქმოდა. რომის სახელმწიფოს მესვეურები თუ მდიდარი კერძო პირები ამგვარ სპორტსმენთ უხვად ასაჩუქრებდნენ. ამიტომ მომრავლდნენ „პილარიები“, — ბურთით თამაშის ვირტუოზები თუ ჟონგლიორები, დიდი სისწრაფით და ხელოვნებით რომ შეეძლოთ „პილის“ ტარება. ისინი უფრო ხშირად უცხოელები იყვნენ, საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლები; ისინი თავიანთი მაღალი ოსტატობის საჩვენებლად რომში საგანგებოდ ჩადიოდნენ, ნივთიერადაც არ აკლდათ რა. მოგვიანებით, იმპერატორ ადრიანეს მმართველობის ხანაში, ამგვარ ვირტუოზებს არა მარტო დაბალი ფენები, არამედ მმართველი მონათმფლობელური კლასიც წარმოავლენდა: ესენი, ცხადია არა იმდენად თვით თამაშს, რამდენადაც მდიდრულ ჰონორარს ეტანებოდნენ.

რომაელების აზრით, ბურთის თამაშს ადამიანისათვის, ჯამრთელობის თვალსაზრისით, დიდი სიკეთე მოჰქონდა. როცა პლინიუს უმცროსი ეწვია უკვე ხანდაზმულ სპურინას, იგი, ასაკის მიუხედავად ფიზიკურად შესანიშნავად გამოიყურებოდა. მწერალმა ეს ბურთის სისტემატური თამაშით ახსნა. ამ თამაშს რომაელი ექიმები თერაპიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. განსაკუთრებით სასარგებლოდ იყო მიჩნეული პატარა ბურთით ვარჯიში. ფეხის, ზურგისა და ხელის კუნთებს უწრთობდა კაცს იგი. პაციენტებს ბურთით რაგინდრაგვარ ვარჯიშებს ურჩევდნენ ხოლმე, თანაც ვარჯიში მოსაწყენი არ უნდა ყოფილიყო, მთელი გულისყური უნდა მიეპყრო. რომაელი ესკულაპები მეტად სასარგებლოდ მიიჩნევდნენ დოდროანი ბურთის თავით ჟონგლირებას.

რომის კანონი იყო: ყოველ შეჯიბრებაში, დიდი იქნებოდა თუ შედარებით უმნიშვნელო, ბურთი გამარჯვებულის კუთვნილებად რჩებოდა. პლავტის კომედიებში წააწყდებით ამგვარ გამოთქმას: „ტოტუს გაუდეო, მეა პილა“ („უაღრესად ბედნიერი ვარ, ბურთი ჩემია“).

ერთი სიტყვით, ბურთის თამაში თანაბრად პოპულარული იყო როგორც გვიანდელი რესპუბლიკის, ისე იმპერიის დროს. ასევე პოპულარული დარჩა იგი ამ სახელმწიფოს დამხობამდე.

გივი გამრეკელი

დაუბეჭდავი წიგნიდან: „სპორტი ძველ მსოფლიოში“.

ჰენრი კისინჯერის ახალი ამპლუა

მსოფლიოს. ახალი ჩემპიონატი ფეხბურთში ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ მისი ორგანიზატორები უკვე იჭერენ თადარიგს. დიდად აქტიურობს საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი. გერმანიაში დაბადებული ეს ებრაელი კაცი მუდამ იყო ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივარი და ქომაგი. კასინჯერის კოლეგები ახლაც ღიმილით იგონებენ იმ დროს, როცა იგი სახელმწიფო მდივანი იყო; ორშაბათობით მოხელეს შეჰქონდა დეპეშების შეკვრა გრიფით „სრულიად საიდუმლოდ!“ არ იკითხავთ, რა ეწერა ამ დეპეშებში? გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეორე ლიგის გუნდების მორიგი ტურის ანგარიშები. კისინჯერს, სურდა, რომ მისი მშობლიური ქალაქის გუნდი ბუნდესლიგაში მოხვედრილიყო და ძალიან განიცდიდა ამ ამბავს.

ახლა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორების წინაშე მრავალი პრობლემა დგას. ჯერ ერთი, ქვეყნის ნაკრები საკმაოდ სუსტია და თანამედროვე ფეხბურთის გრანდებთან რას უნდა გახდეს. მართალია, გუნდს სათავეში ჩაუდგა ცნობილი იუგოსლავი სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი, ადრე მექსიკისა და კოსტარიკას ნაკრებების ხელმძღვანელი, კაცი, ვინც წინა მსოფლიო ჩემპიონატებში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა, მაგრამ საქმეს ალბათ ვერც ეს უშველის. მეორე და მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა ის არის, რომ ევროპული ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაკლებად პოპულარულია, — უდავოდ დადგება მაყურებლის პრობლემა, ამიტომ იყო, კისინჯერმა ჟურნალისტებს განუცხადა: „უამრავი სიძნელის გადალახვა მოგვიწევსო“. რა თქმა უნდა, ყოფილი სახელმწიფო მდივანი სულაც არ კარგავს მისთვის ნიშნეულ ოპტიმიზმს. მას მხარს უბამს აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციის მესვეური ჯონ პოლისიც და აცხადებს: „მთელ მსოფლიოს უნდა დავუმტკიცოთ, რომ საფეხბურთო ქვეყანა ვართ.

ძალიან სერიოზულად მიაჩნიათ ის პრობლემა, რომ აშშ-ს უდიდესი სატელევიზიო კომპანიები არ არიან ფეხბურთით დაინტერესებულნი. კისინჯერი იმედოვნებს, შევძლებო მათ გადმობირებას“.

მიმდინარეობს იმ ქალაქების რეგისტრაცია, რომელთაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ჩატარების პრეტენზია აქვთ. განაცხადი შეიტანა 27-მა ქალაქმა, სადაც საერთო რიცხვით 31 სტადიონია. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სკოტ ლეტელიემ გამოთქვა ვარაუდი, რომ თამაშებისათვის შერჩეული უნდა იქნეს რვიდან თორმეტ ქალაქამდე, თუმცა ეს რიცხვი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი.

ყველა ამ საქმეს სათავეში უდგას ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი, ჰენრი კისინჯერი.

ინვალიდთა საყურადღებოდ!

ქ. თბილისის სპორტ. დეპარტამენტი ა.წ. 29-30 ივნისს აწყობენ საქართველოსა და პარალელურად ქ. თბილისის ჩემპიონატს ინვალიდთა შორის მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრების მსვლელობისას გაიმართება საჩვენებელი გამოსვლებიც ბილიარდში, მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ინვალიდს რომელიც რეგისტრაციას გაივლის არა უგვიანეს 27 ივნისამდე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი. მაჩაბელის ქ. №11

შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის გამოყოფილია დიდი საპრიზო ფონდი დაჯილდოვდებიან, ფასიანი და სამახსოვრო საჩუქრებით.

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია.

რედაქტორი ედიშერ გიორგაძე
სარედაქციო კოლეგია: შალვა ქირია (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ძნელაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, დავით მარტიროსოვი (პასუხისმგებელი მდივანი), ზურაბ ტაბატაძე, ავთანდილ ციბაძე, გივი კარტოზია, დავით კვაჭაძე, გივი გამრეკელი, დავით ქეთარაძე, შოთა ინწკირველი, ბესიკ ადეიშვილი, კარლო ცხადაია, ალექსანდრე ჩხეიძე, ლიანა ლუდუშაური, აკაკი სიხარულიძე, ჯანსულ დემეტრაძე, გიორგი ნიჟარაძე.

ჩვენი მისამართია: 380007
ი. მაჩაბელის ქუჩა № 11
ტელეფონები: 93-28-92. 98-13-73. 93-98-75

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
კომპიუტერით ქსს გამოთვლით
ცენტრში, ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

XVII ტური

„სიონი" (ბოლნისი) — „სქური" (წალენჯიხა) 2:2. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: უგულავა, გაბიძაშვილი („სიონი"), გიორგობიანი, კვირტია („სქური"). უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. ბუჯაძე („სიონი").

„არმაზი" (მცხეთა) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ხუცურაული, სოლოღაშვილი, („არმაზი").

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 0:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). გოლი: სემიონოვი („ქართლი").

„დურუჯი" (ყვარელი) — „სიხარული-90" (გაგრა) 2:1. მსაჯი ვ. ეჩოიანი (თბილისი). გოლები: მეამიშვილი, ღვინიაშვილი („დურუჯი"), ტიტოვი („სიხარული-90"). მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისათვის გააფრთხილეს ს. ტიტოვი („სიხარული-90").

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „არაგვი" (დუშეთი) 2:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: ივანიშვილი, ტოგონიძე, (ფიზკ. ინსტ.). განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს ზ. მაისურაძე (ფიზკ. ინსტ.).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 3:4. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი). გოლები: ხურცილავა-2, გაჩეჩილაძე (სტუ), კილასონია, ქვრიტაძე-3 („კახეთი").

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ეგრისი" (სენაკი) 2:0. მსაჯი თ. მაჭარაძე (ხონი).

ტყიბულის „ოკრიბასა" და თბილისის „მრეტების", აგრეთვე, ჩხოროწყუს „სამეგრელოსა" და ხონის „იმერეთის" მატჩები გაპროტესტებულია.

18 ივნისს გაიმართა მე-IX ტურის გამოტოვებული მატჩი:

„სქური" (წალენჯიხა) — „სიხარული-90" (გაგრა) 3:4. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი). გოლები: კვარაცხელია, ვოსკანოვი, მაქავარია („სქური"), ხარგელია, რუხაია, მანაგაძე, მინდაძე, („სიხარული-90").

თანაგუნდელის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააფრთხილეს დ. მინდაძე („სიხარული-90"), მსაჯთან კამათისთვის — დ. ჩალიგავა, სახიფათო თამაშისათვის — ნ. ჩეკუნოვი (ორივე „სქური").

18 ივნისს მოეწყო მე-12 ტურის გამოტოვებული შეხვედრაც:

„მრეტები" (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ყორღიკაშვილი, ოჩერაშვილი, ჯაგიდისი, ტყავაძე („მრეტები"), მთივლიშვილი („ბახტრიონი").

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მრეტები" (თბილისი)	14	12	0	2	27-8	36
„კახეთი" (თელავი)	15	10	2	3	37-15	32
„შუქურა" (ქობულეთი)	15	8	2	5	25-13	26
„ოკრიბა" (ტყიბული)	14	8	2	4	15-9	26
„არაგვი" (დუშეთი)	15	7	3	5	24-16	24
„საპოვნელა" (თერჯოლა)	16	7	3	6	19-20	24
„ქართლი" (გორის რ-ნი)	15	7	2	6	19-13	23
„არმაზი" (მცხეთა)	16	7	2	7	21-20	23
„ეგრისი" (სენაკი)	16	6	3	7	17-23	21
„სქური" (წალენჯიხა)	15	5	6	4	21-20	21
„დურუჯი" (ყვარელი)	15	6	1	8	14-18	19
„სამეგრელო" (ჩხოროწყუ)	14	5	4	5	11-14	19
„იმერეთი" (ხონი)	14	5	3	6	11-18	18
სტუ	15	5	2	8	25-30	17
„ბახტრიონი" (ახმეტა)	15	4	2	9	16-23	14
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	15	4	2	9	13-26	14
„სიხარული-90" (გაგრა)	15	3	5	7	16-26	14
„სიონი" (ბოლნისი)	16	1	6	9	13-32	9

მას პირადად მიჰქონდა კოკაინი მარადონასათვის“

ფეხბურთის ღმერთის დაცემის ახალი ფაქტები

— მარადონა მართლაც იღებდა ნარკოტიკებს. ჩემს მეგობარ გოგოსთან ერთად მე პირადად ჩამომქონდა არგენტინიდან საკმაო მოცულობის პაკეტები თეთრი ფხვნილით, — გულახდილად განაცხადა ბოლონიელი კორესპონდენტის — სერჯო დე გრიგორიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ვინმე პიეტრო პულიეზემ, მარადონას ნდობით აღჭურვილმა პირმა. — ამ სამსახურისთვის იგი არასოდეს მიხდიდა. მე ახლავე ვახლდი მას დამნაშავეთა სამყაროს ბობოლებთან სტუმრობისას...

— იმ საღამოს დიეგო არმანდო მარადონა და მისი მეგობრები, როგორც არასდროს, თავაზიანები იყვნენ. — აგრძელებს პულიეზე. — ნეაპოლის სანაპიროზე ერთ-ერთ რესტორანში მიმიწვიეს ვახშამზე. მალე მოისურვეს ვხლებოდი ერთ სახლში პოზილიპოს ბორცვზე. რამდენიმე დღე იყო გასული, რაც დავბრუნდით ბუენოს აირესიდან. დიეგომ მიგვიწვია მდიდრულ ქორწილში. ჩვენ, მისი მეგობრები და ახლობლები, ერთ-ერთი პირველნი ვიყავით დაპატიჟებულთა შორის „ლუნა პარკში" მოწყობილ გრანდიოზულ ბანკეტზე.

თავის დროზე არგენტინის დედაქალაქში, ერთ-ერთ ღამის კლუბში, გავიცანი მეტად სიმპათიური გოგო, ალესანდრა ბერტერო. რამდენიმე საათის საუბრის შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით. მე იგი მივიპატიჟე დიეგოსთან ქორწილში. გულშემატკივართა კერპი და მასთან დაახლოებულნი მოწონების ნიშნად თვალს მიკრავდნენ.

ალესანდრა ბუენოს-აირესის ღარიბ გარეუბანში ცხოვრობდა. მან მფარველობა და იტალიაში წაყვანა მთხოვა. მეც შევხვდი დიეგოს და გავუმხილე ჩემი მიზნები, რომ ვაპირებდი ალესანდრას ნეაპოლში ჩაყვანას. როდესაც ვბრუნდებოდით, ვიფიქრე, რომ დიეგოს დაავიწყდა ჩვენი საუბარი. მაგრამ მოხდა პირიქით — იგი ჩემს განზრახვას გულთბილად მოეკიდა, მითხრა რომ თვითონ იზრუნებდა გოგონას ჩამოყვანაზე. ეს 1989 წლის 20 ნოემბერს მოხდა, იმ დღეს, საიდანაც დაიწყო ყველა ჩემი უბედურება...

პიეტრო პულიეზე 40 წლისაა. მას მეჩხერი, აწეწილი თმა აქვს და მარადონას მსგავსად მარჯვენა ყურის ბიბილოს საყურე უმშვენებს. იგი ჰყვება დაუჯერებელ ამბავს მარადონას ცხოვრებიდან.

მოთამაშეთა ყოფილმა პასუხისმგებელმა მცველმა, ამ სამსახურში მუშათა ღარიბი უბნიდან მოწვეულმა პულიეზემ აღიარა, რომ უკვე აცნობა ნეაპოლის პროკურორს ის, რომ ბრალს სდებს მარადონას. თუმცა, ისიც იცის, რომ ეს მას ძვირად დაუჯდება.

— იმ საღამოს — ამბობს პულიეზე — მარადონას წრემ მთხოვა გამეტანებინა ვინმესთვის კოკაინი, რომელსაც ბუენოს-აირესში გადასცემდნენ ჩემს მეგობარ გოგონას ალესანდრა ბერტეროს, ლაპარაკი იყო სამ კილოგრამ ნარკოტიკზე, რომლისთვისაც მივიღებდი 75 მილიონ ლირას. დამპირდნენ სტაბილურ სამსახურს ფეხბურთის სამყაროში. ეს იყო ის, რაზეც ვოცნებობდი მთელი ჩემი ცხოვრება.

მართალია? ტყუილია? ზოგიერთ ვითარებაზე, რომელთა მოწმე იყო პულიეზე, მარადონამ უკვე მისცა ჩვენება ნეაპოლის სასამართლოს. თავისი ყოფილი მეგობრის, ახლა უკვე მთავარი ბრალმდებლის განცხადებით განცვიფრებულმა და შეშფოთებულმა მარადონამ ითხოვა მასთან შეხვედრა. პულიეზეს ჩვენებას ხომ მისთვის ბევრი უსიამოვნების მიყენება შეეძლო.

— პირველად მარადონა ნარკოტიკებზე სწორედ 20 ნოემბერს დამელაპარაკა. — აგრძელებს პულიეზე. — მე მონუსხულივით ვუსმენდი:

— „ალესანდრა არგენტინაში გარეული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობაში — დაიწყო დიეგომ — ამის შესახებ გვაცნობა ბუენოს-აირესის პოლიციამ. როგორც ხედავ, ჩვენ კარგი ურთიერთობები გვაქვს და დავეხმარებით კიდეც მას წინააღმდეგობების გადალახვაში იმ პირობით, თუ იგი დაგვეთანხმება ამანათის გადაცემაზე. ჩვენ დავავალებთ პაკეტის გადაცემას, რა იქნება შიგ, ამის შესახებ მან არაფერი უნდა იცოდეს — შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ეს ეცოდინება. გვჯერა შენი, იმისაც, რომ არსად არაფერს იტყვი. ამისთვის შენ 75 მილიონ ლირას მიიღებ, რომელსაც გადმოგცემთ პაკეტის ჩაბარების შემდეგ".

— მე ვუყურებდი დიეგოს და არ შემეძლო წინააღმდეგობის გაწევა. ძალიან მიყვარდა იგი, მან იცოდა, რომ არ შემწევდა ძალა, უარი მეთქვა მის თხოვნაზე. ერთი სიტყვით, შემომთავაზეს გავმხდარიყავი მათი თანამზრახველი; მანდობდნენ საიდუმლო, მეტად საჭირო, პირად საქმეს. ეს სამუდამოდ მაკავშირებდა მათთან. დავთანხმდი. წავუყენე პირობა, რომ მოეცათ სტაბილური სამუშაო, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ფეხბურთთან. ეს იყო ჩემი ოცნება. „ნურაფერი შეგაწუხებს, ეს ძნელი არ არის. — გამილიმა დიეგომ და მხარზე დამადო ხელი. — ჩვენ ვიფიქრებთ შენზე, შენს მომავალზე". რამდენიმე დღეში ალესანდრა უნდა გადმოფრენილიყო იტალიაში.

ყოველივე ამის შემდეგ პულიეზე ესწრებოდა კლანის საღამოებს, სადაც იღებდნენ ნარკოტიკებს. მათ გადასაგზავნად იყენებდნენ სხვადასხვა არხებს, ამისთვის არჩევდნენ ხალხს, განსაკუთრებით, ქალებს.

— ალესანდრას გამგზავრების წინ მრავალჯერ დარეკა ტელეფონმა. მას აძლევდნენ რჩევა-დარიგებებს, როგორ მოქცეულიყო, რა ჩაეცვა... მარადონას კომპანიის „პროდაქშნის" არგენტინის ოფისში მას გადასცეს ბილეთი და მძიმე ნაცრისფერი პაკეტი. 12 დეკემბერს ალესანდრა ჩამოფრინდა იტალიაში. მე ნეაპოლიდან დიეგოს მანქანით გავემგზავრე. მარადონა შინ გველოდა. შევხვდი ალესანდრას და ჯერ ჩემთან წავედით, რადგან ძალიან მაინტერესებდა, რა რაოდენობის კოკაინი იყო პაკეტში.

— სახლში ჩვენ ავწონეთ იგი. სასწორის ისარი სამ კილოგრამს აჩვენებდა. როდესაც მივედით მარადონასთან, იქ რამდენიმე კაცი კიდევ დაგვხვდა. ყველა გულთბილად მოგვესალმა. პაკეტი გაქრა. იგი დიეგომ და ერთმა მისმა ამხანაგმა წაიღეს. ისინი 45 წუთის შემდეგ დაბრუნდნენ. ხმამაღლა განაცხადეს, რომ პაკეტში იყო საგაზეთო წერილების შენარჩევი.

— სამწუხაროდ, ჩემთვის ფული არ გადაუხდიათ. არც ალესანდრას იტალიაში დამკვიდრების დაპირება შესრულდა, რის შემდეგაც მან გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. არც ახალი სამსახური მოუციათ ჩემთვის — დადგა 1990 წლის აპრილი, მაგრამ დიეგოს სიტყვა საქმედ არ ქცეულა. ამ დროის მანძილზე დიეგოსთან ერთად ბევრ სხვა საეჭვო ადგილებშიც მოვხვდი. ექვსჯერ თუ შვიდჯერ ვახლდი კამორის ბოსის სახლში, ვესწრებოდი სახიფათო მოლაპარაკებებს ფუორჩელის მაფიის წევრებთან. საბოლოოდ, გადავწყვიტე, რომ, სანამ გვიანი არ იყო, უნდა გამეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ხალხთან, რომელიც შავბნელ საქმიანობას ეწეოდა. მე კიდევ მქონდა შეხვედრები და საუბრები დიეგოსთან. იგი ყოველთვის აჭიანურებდა ჩემთვის ფულის მოცემას. ბოლოს და ბოლოს მომცეს 25 მილიონი ლირა.

— დიახ, მარადონა აღარ იმსახურებს ჩემს პატივისცემას — ასკვნის პულიეზე, — მან ჩემს მისდამი რწმენას უღალატა. მე მას საკუთარ დედაზე უკეთესად ვექცეოდი. ახლა პასუხს ვაგებ იმაზე, რაც ჩავიდინე, მაგრამ ისიც მიიღებს თავისას, მიუხედავად იმისა, რომ კარგადაა დაცული. ნეაპოლის პროკურატურამ აუკრძალა მას იტალიაში ჩამოსვლა. თუ იგი ოდესმე აქ დაბრუნდება, მაინტერესებს, ეყოფა თუ არა ვაჟკაცობა, შემომხედოს თვალებში და მითხრას, რომ მე ვტყუი.

„სოვეტსკი სპორტის" დამატება „პლუს 8", № 2, 1991 წლის ივნისი.

* * *

ედინიო: დაუზარელი „უფლისწული"

როდესაც სან-პაულუს სახელგანქმულმა კლუბმა „სანტოსმა" თაის რიგებში ჩარიცხა ახალგაზრდა მეკარე ედინიო (ედსონ ჩოლი ნასიმენტო), მას გასახდელში აუთმეს კარადა № 10, რომელიც 6 წლის განმავლობაში დაკეტილი ყო. მას იმიტომ არ ხსნიდნენ, რომ თავისებურ რელიკვიად იქცა — ადრე პელეს ეკუთვნოდა და ბევრი გულშემატკივარი სწორედ ამ კარადის სანახავად ცდილობდა გასახდელში შეღწევას. რა თქმა უნდა, „სანტოსის" ქომაგებს აძლევდნენ კიდეც ამის საშუალებას, როცა გუნდი სხვა ქალაქში მიემგზავრებოდა, ლა კი კარადა ედინიოს მხოლოდ იმიტომ დაეთმო, რომ იგი პელეს ვაჟია და „სანტოსის" გულშემატკირებს მამამისს აგონებს.

ედინიო დაიბადა 1970 წლის 27 ვისტოს სანტოსში. მის დაბადემდე ცოტა ხნით ადრე, ბრაზიელებმა გაიმარჯვეს (ჯერჯერობ, უკანასკნელად) მექსიკის მსოფიო პირველობაზე. ამის შემდეგ, აიწყო მეტად ხანგრძლივი, უსიავნო პერიოდი ბრაზილიის ფეურთის ისტორიაში, რომელიც ემდე გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

„ედინიო ერთხანს „სენტ ჯეიმსის" უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ შემდეგ დატოვა იგი, რათა მთელი თავისი დრო და შესაძლებლობები ფეხბურთისათვის მიეძღვნა. აშშ-ში ცხოვრების პერიოდში ახალგაზრდა მეკარე თამაშობდა კლუბ „ნიუ-იორკ გოტშეს" შემადგენლობაში. ეს გუნდი ორჯერ ნიუ-იორკის შტატის ჩემპიონი გახდა (1987 და 1988 წლებში). 1987 წელს ედინიომ მართლაც რომ თავი გამოიჩინა, — 22 მატჩში სულ 4 გოლი გაუშვა! პელეს ძველმა თანაგუნდელმა და მეგობარმა რიველინომ ახალგაზრდა მეკარეს ურჩია, მიეღო აშშ-ს მოქალაქეობა, რაც საშუალებას მისცემდა, ეთამაშა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში. რიველინოს აზრით, სათანადო კონკურენციის დაძლევის შემთხვევაში პელეს ვაჟი ქვეყნის № 1 მეკარეც გახდებოდა:

— ედინიოს შეუძლია მაღალი კლასის მეკარე გახდეს. მისი სიმაღლე 180 სმ-ია, ეგაა, ზედმეტად მძიმეა, 86 კგ-ს იწონის, მაგრამ ამას, ვფიქრობ, ეშველება.

არ ვიცით, მიიღებს თუ არა ედინიო აშშ-ის მოქალაქეობას, მაგრამ მას კარგი პერსპექტივები აქვს თვით ბრაზილიაშიც. იგი წარმატებით გამოდის „სანტოსში", ითვლება ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად. ამასობაში მოახლოვდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატიც — ფრიად პრესტიჟული შეჯიბრება ამ კონტინენტის ფეხბურთელთათვის. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბრაზილიის № 1 მეკარე ამჟამად გამოცდილი სერჟინიოა, ედინიოს კი შეუძლია, მისი დუბლიორი იყოს.

ედინიო ბევრს ვარჯიშობს. მას, ძალიან აქებს „სანტოსის" მწვრთნელი პეპე, პელეს ძველი პარტნიორი. რაც შეეხება ჟურნალისტებს, ისინი ახალგაზრდა მეკარეს, რატომღაც ყოველთვის ფრანც ბეკენბაუერის შვილს, 22 წლის შტეფანს ადარებენ. შტეფანი ოფენბახის „კიკერსში" ცენტრალურ მცველად თამაშობს, საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელიცაა, მაგრამ ვარჯიში მაინცდამაინც არ უყვარს, „ტკბილ ცხოვრებას" ამჯობინებს. ამაში იგი არც საკუთარ მშობელს ჰგავს და არც ედინიოს მამას — პელეს.

ბიჭი თორელი

სიახლე ფეხბურთის წესებში

ბელფასტში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომლის გადაწყვეტილებათა შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი.

წლეულს, 25 ივლისიდან ფეხბურთელს, რომელიც განზრახ ხელით ითამაშებს და ამ საშუალებით შეწყვეტს მეტოქის საგოლე შეტევას, დაუყოვნებლივ გააძევებენ მინდვრიდან. თუ დამრღვევები უწინ ამ შემთხვევაში მხოლოდ ყვითელ ბარათს იმსახურებდნენ, ან მსაჯები მხოლოდ გაფრთხილებას სჯერდებოდნენ, ამიერიდან ისინი მკაცრად დაისჯებიან.

ფეხბურთელებს ოფიციალურად მიეცათ უფლება მინდორზე გამოვიდნენ ველოტრუსებით, ოღონდ იმ პირობით, რომ ველოტრუსების ფერი აუცილებლად უნდა შეეხამებოდეს საფეხბურთო ტრუსების ფერს.

ფიფა-ს აღმასკომმა რეკომენდაცია მისცა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს, ნება დართონ მწვრთნელებს ყოველ მატჩში შემცვლელი მოთამაშეები შეარჩიონ 11 სათადარიგოდან და არა ხუთიდან, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

მიღებულია ზომები მეკარეთა მიერ დროის გაჭიანურების წინააღმდეგ. მეკარეს, რომელმაც ხელით გააჩერა ბურთი და შემდეგ ფეხით ითამაშა, აეკრძალება მისი კვლავ ხელში აღება, სანამ ბურთს სხვა მოთამაშე არ შეეხება, ხოლო წინადადებაზე, რომ მეკარის მიერ ბურთის ფლობის დრო საერთოდ შეიზღუდოს 6 წამით, ჯერჯერობით ახალი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდამეხუთემდე

(დასასრული)

ერიკელმა უოლტერ დევისმა, ადრეულ ასაკში პოლიომიელიტის უმძიმესი ფორმით რომ იყო დაავადებული, სიმაღლეზე მხტომელთა ტურნირი მოიგო ახალი ოლიმპიური რეკორდით — 2 მ. 4 სმ.

ჰელსინკის ოლიმპიადამ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკაფა გზა დიდ სპორტში, მაგრამ თამაშების გმირად მაინც „ერთადერთი და სწორუპოვარი“ ჩეხოსლოვაკიელი სტაიერი ემილ ზატოპეკი იქნა მიჩნეული, სამი ოლიმპიური ოქროს კავალერი, რომელიც შემდგომში შერისხა სოციალისტურმა წყობამ იმისთვის, რომ ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა აგრესიის წინააღმდეგ ამოიღო ხმა (1968 წელს).

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდა საქართველოს თოთხმეტი სპორტსმენი, რომელთაგან სამმა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა, სამმა ვერცხლის და ორმა ბრინჯაოს ჯილდო. ვიდრე საქართველოს ოლიმპიელთა შედეგებს გავეცნობით, კარგი იქნება, გადავხედოთ ცხრილს, რომელშიც საბჭოთა დელეგაციაში შემავალი რესპუბლიკების წვლილია აღნუსხული:

	ო.	ვ.	ბ.
რუსეთის ფედერაცია	19	31	14
უკრაინა	10	9	1
საქართველო	3	3	2
სომხეთი	2	2	—
ესტონეთი	1	3	—
უზბეკეთი	1	—	—
ლიტვა	—	3	—
აზერბაიჯანი	—	1	—

საინტერესოა, ერთი ასეთი ცხრილიც: ვინ რამდენი ოლიმპიელით იყო წარმოდგენილი ნაკრებ გუნდებში:

რუსეთის ფედერაცია	—	224
უკრაინა	—	25
საქართველო		14
ესტონეთი	—	9
ბელორუსია	—	6
ლიტვა	—	6
აზერბაიჯანი	—	5
ლატვია	—	3
სომხეთი	—	2
უზბეკეთი	—	1

ახლა მოკლედ საქართველოს სპორტსმენთა მონაგარზე:

დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — I ადგილი.

რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა) — I ადგილი (მრავალჭიდში 337,5 კგ — მსოფლიოსა და ოლიმპიადის რეკორდი).

მედეა ჯუღელი (ტანვარჯიში) I ადგილი (გუნდური).

ლევან სანაძე (მძლეოსნობა)— II ადგილი (ესტაფეტა 4X100 მ).

ოთარ ქორქია (კალათბურთი) — II ადგილი.

ნოდარ ჯორჯიკია (კალათბურთი) — II ადგილი.

ნინო დუმბაძე (მძლეოსნობა) — III ადგილი ბადროს ტყორცნაში.

ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი (მძლეოსნობა) — III ადგილი 200 მ. რბენაში.

საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა გუნდი — XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მარცხნიდან პირველი — მედეა (მზია) ჯუღელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფაელ ჩიმიშკიანი — ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონ

ელენე გოკიელი (მძლეოსნობა, თარჯრბენი)— IV ადგილი ნახევარფინალში.

აკაკი მეიფარიანი (ფარიკაობა, დაშნა) — სსრკ ნაკრების შემადგენლობაში დამარცხდა იტალიელ რობერტო ბატალიასთან.

ოთარ დადუნაშვილი (ველოსპორტი) — სპრინტერთა მეთექვსმეტედფინალში III ადგილი დაიკავა, იმედის სერიაში — II. გამოეთიშა ასპარეზობას.

ვლადიმერ ლავრინენკო (ცურვა). 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით — 25-ე ადგილი.

ავთანდილ ღოღობერიძე (ფეხბურთი) — ითამაშა მეთექვსმეტედფინალში ბულგარეთთან (2:1).

ავთანდილ ჭკუასელი (ფეხბურთი) — ითამაშა მერვედფინალის განმეორებითი მატჩი იუგოსლავიასთან (1:3).

დაბოლოს, ტრადიციულად, ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ექვს პრიზიორზე:

	ო.	ვ.	ბ.	ქულ
აშშ	40	19	17	494
სსრ კავშირი	22	30	19	494
უნგრეთი	16	10	16	25[illegible]
შვეცია	12	13	10	230
გფრ	—	7	17	169
ფინეთი	6	3	13	145,5

შენიშვნა: რუსულ წყაროებში გუნდური პირველი ადგილი ყველგან სსრკ-ს დელეგაციას აქვს მიკუთვნებული, თუმცა, მან იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც აშშ-ის დელეგაციამ. სინამდვილეში კი პირველი ადგილი აშშ-ის დელეგაციას ეკუთვნის, ვინაიდან, მა მეტი ოქროს მედალი აქვს მიღებული.

ცოდნა, სიყვარული და კომპლიმენტი

70-იან წლებში საქართველოში კარატეს რამდენიმე სახეობის სპორტული ჯგუფები გაიხსნა. ზოგი სახეობა მეტად გავრცელდა, განვითარდა; იმრავლა ჯგუფებმა დედაქალაქში და პერიფერიებში. აი, კიოკუშინკაი კარატე კი, პირიქით, თანდათან თითქოს დავიწყებას მიეცა: თბილისში აღმოსავლური ორთაბრძოლების ამ ნაირსახეობის მხოლოდ 1 ჯგუფიღა შემორჩა...

მაგრამ, ნურას უკაცრავად. ასე როდი ფიქრობდნენ ავთანდილ შენგელია, ოთარ მელაძე, ზურაბ კობაიძე და სხვები — კიოკუშინკაი კარატეს ქართველი მიმდევრები. მათ და მათმა თანამოაზრეებმა ერთობლივი ძალისხმევით შარშან დააფუძნეს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაცია, რომლის პრეზიდენტმა გურამ ბარაბაძემ უპირველესად უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების დამყარების გზების ძიება დაიწყო და მალე „ხმაც მიაწვდინა“ კარატეს ამ სტილის ერთ-ერთ ფუძემდებელს მასუტაცუ ოიამას. ქართველი კარატისტები კიევშიც გაუმგზავრნენ აღმოსავლური ორთაბრძოლების ფესტივალზე, გაეცვნენ იაპონელ ოსტატებს. შეჯიბრებაში მონაწილეობის გარდა ი. გოგოლაშვილმა, ა. მელაძემ და ა. შენგელიამ გამოცდილ იაპონელებთან ერთად 10-დღიანი შეკრებაც გაიარეს. ამან ა. შენგელიას შავი ქამრის ტარების უფლებაც მოუტანა.

დაბოლოს, რაც მთავარია, ახლახან თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატს კარატეს ამ სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა შორის დაესწრნენ იაპონელი ოსტატები — იშიგურო და იშიდა. ამ გამოცდილი და საქმის მცოდნე კარატისტების აზრით, კიოკუშინკაი კარატეს ქართულ სკოლას საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს.

რაც შეეხება ტურნირს, იგი მაღალ დონეზე ჩატარდა, ნორჩმა და ჭაბუკმა სპორტსმენებმა კარატეს ამ ნაირსახეობის ცოდნა და სიყვარული გამოავლინეს, რაც გვაიმედებს, რომ იაპონელი სტუმრების სიტყვები მარტოოდენ ლამაზი კომპლიმენტი არ არის. საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმაც.

გაგაცნობთ ტურნირში გამარჯვებულებს:

27 კგ. დავით მექვაბიშვილი („ანდამატი“, თბილისი); 33. იგორ ჩხიკვაძე („წმინდა გიორგი“, გუდაუთა), 39. რამაზ ბონიაშვილი („ანდამატი“, თბილისი), 45. ლევან თუშმალიშვილი („სამგორი“, თბილისი), 50. ალექსანდრე ჯაიანი („უშბა“, გარდაბანი), 60. მირიან კაკრიაშვილი („უშბა“, გარდაბანი), 64. ნოდარ ნარსავიძე („ცხუმი“, სოხუმი), + 64. გიორგი ქამიაშვილი („სამგორი“, თბილისი).

ელგუჯა ჩიტაიშვილი



ჟურნალი „სტადიონი“ (ჩეხოსლოვაკია).



მკითხველი — გაზეთი

გამიგია, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ან პრიზიორის სახელს ბევრი ცნობილი მეცნიერი, კულტურისა და ხელოვნების დარგის წარმომადგენელი ატარებსო. იქნებ კონკრეტულად დაგვისახელოთ მათი გვარები?

გრიგოლ ჩიგოგიძე,
თბილისი.

ბადრო, ბირთვი და როიალი

თქვენს შეკითხვაზე სრული და ამომწურავი პასუხის გაცემას საკმაოდ შრომატევადი კვლევა სჭირდება, ვინაიდან ოლიმპიადის პრიზიორები ამ თვალსაზრისით არასდროს დაუჯგუფებიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი ოფიციალური ინფორმაცია არ გაგვაჩნია. სამაგიეროდ, სიამოვნებით გაგიზიარებთ იმას, რაც ვიცით.

ერნსტ ბორის ჩეინი (1906-1979), ცნობილი ინგლისელი ბიოქიმიკოსი, წარმოშობით გერმანელი, 1933 წლიდან ბრიტანეთის კუნძულებზე ცხოვრობდა. ჩეინიმ მეორე მსოფლიო ომის წლებში სუფთა სახით გამოყო პენიცილინი და მისი ქიმიური აგებულება დაადგინა. 1945 წელს ამ ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენისთვის მან ალექსანდრე ფლემინგთან და ჰაუარდ უოლტერ ფლორისთან ერთად ნობელის პრემია მიიღო.

ჩეინი, როგორც ირკვევა, კარგი სპორტსმენიც ყოფილა (აფროსანი). 50-იან წლებში იგი აშშ-ში მოღვაწეობდა და ჰელსინკის ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის სახელით გამოვიდა როგორც აფროსანი (5,5 კლასში) და ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა სამნერ და ედგარ უაიტებთან და მაიკ შეტლესთან ერთად.

მსოფლიოს სამედიცინო წრეებში კარგად არის ცნობილი სახელგანთქმული პედიატრი, ამერიკელი ბენჯამინ სპოკი. მისი გახმაურებული წიგნი „ბავშვი და მისი მოვლა“ ამერიკაში, როგორც პირველხარისხოვანი ბესტსელერი, 20-მილიონიანი ტირაჟით გამოვიდა. იგი აქტიური მოწინააღმდეგე იყო ვიეტნამის ომისა და ამის გამო პასუხისგებაშიც მისცეს. ბენჯამინ სპოკს მშვიდობის ნობელის პრემია აქვს მიღებული. ამჟამად იგი 70 წლისაა.

სპოკი 20-იან წლებში საკმაოდ ცნობილი სპორტსმენი იყო, რომელმაც 1924 წელს პარიზის VIII ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოქროს მედალი მოიპოვა. აშშ-ის გუნდის ღირსებას ბ. სპოკის გარდა „რვიანებში“ მაშინ იცავდნენ: რ. კარპენტერი, ჰ. კინგსბერი, დ. ლინდლი, ჯ. მილერი, ჯ. როკფელერი, ფ. შეფილდი, ა. უილსონი და მესაჭე ლ. სტოლერდი.

ოლიმპიურ თამაშებში (1924 წელს, პარიზში) თავი გამოიჩინა კიდევ ერთმა ცნობილმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, ბიოლოგმა ფილიპ ნოელ ბაკერმა. მან 1500 მეტრზე რბენის ფინალში ლეგენდარული პაავო ნურმის გვერდით მეხუთე ადგილი დაიკავა — 3.58,6.

ერთ მაგალითს ხელოვნების სფეროდანაც შემოგთავაზებთ. პარიზის კონსერვატორიის პირველი პრემიის ლაურეატი, საფრანგეთში საკმაოდ ცნობილი პიანისტი მიშლინ ოსტერმაიერი, ამავე დროს, სახელმოხვეჭილი მძლეოსანი იყო, რომელმაც ლონდონის 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საკმაოდ ძალისმიერ სახეობებში — ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში (პირველი ადგილები), აგრეთვე სიმაღლეზე ხტომაში (მესამე ადგილი).

სურათებზე: მიშლინ ოსტერმაიერი ტყორცნის სექტორში და... როიალთან.

რედაქტორის მოადგილე
თამაზ მიგრიაული

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „საქოლიმპიადმშენის“ მმართველი

ნოდარ დომენტის ძე ჯობავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54
„მერანი“ — 98-97-26, „[illegible]“ — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს“ სტამბა, 380008, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო ქაღალდზე, [illegible], 99.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20